

საქართველოში მოიქცეოთ როგორც საქართველოში უნდა - ქართული საქართველო

საგაზელო

№12 (47) 1.12.2015 - 1.01.2016

ფასი 2 ლარი

ეკოლოგიური გამოცემა



ნაწილი ფეხადს მადმუნს წელი
და მოგონს შეგვლელა მას

2016

თამარ ღალიანი

18

**კიდე
დაზარდოს
შენისთანები
ჩვენა მიწა!**



ნათია გავისონია

ფუნჯით
ავეყვალაული
სელოვნება

14



11

**ეკა
სოფარიას
სსოვრების
გადაუღილი
კვეული**



16

**აკაკი
ფალავას
ეკთვალბთი
ნუგეზი**



გიეტა აბილავა

საეგკელ
სიყვარულის
მზით მოსილი
საქანა

24



მოგვხიზნის სმ

ISSN 1987-8524



სრულიად საქართველოს სწვდაბა



ს ა რ ჩ ე ვ ი

	ბარბაროზა..... 2
	ნიკოლოზობა 3
	რას მოგვიტანს ახალი 2016, ნითელი მაიმუნის წელი? 4
	ეკა ხოფერიას ცხოვრების გადაშლილი რვეული 11
	ნათია გაბისონია - ფუნჯით ამეტყველებული ხელოვნება..... 14
	აკაკი ფალავა და მისი ერთადერთი ნუგეში 16
	თემურ დადიანი — „კიდევ დაზარდოს შენისთანები ჩვენმა მიწამა!“ 18
	გივი სიხარულიძე — პროფესია სიკეთე22
	გივი სიხარულიძე — „ძია სკრიპკა“23
	მცირე სევდა.....23
	ბორის დავითაია - სამეგრელო სიყვარულის მზით მოსილი სავანეა!..... 24

	უკვდავი მელოდიის ავტორი დავით ფალავა 26
	საფლავის მესაიდუმლე შარიკა..... 27
	შოთა ნოზაძე — ამერიკიდან ნაფიქრი.....28
	ძველი სენაკის ქრონოლოგიური იერსახე30
	ტამიშვი დიდ ორმოში ჩვენი ჩახოცილი, ნანამები მეომრები ეყარნენ — არჩილ ხოფერია34
	ზუგდიდი სრულიად საქართველოს ამცნობს 32
	ნალენჯიხა სრულიად საქართველოს ამცნობს 34
	მარტვილი სრულიად საქართველოს ამცნობს 35
	ხობი სრულიად საქართველოს ამცნობს 36
	სენაკი სრულიად საქართველოს ამცნობს 38

მთავარი რედაქტორი —
ნიკო რახვიაშვილი

ტელ: 599 74 68 10

დამფუძნებელი —
გონა გუტაშვილი

ტელ: 599 53 58 94

კომპიუტერული უზრუნველყოფა
დალი ჯვარაშვილი

ტექსტი აანყო


თამარ გომიწაძე

ძვირფასო მკითხველო!
გაცნობებთ, რომ რედაქციაში შემოსული
მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს
ავტორი. რაც შეეხება სარეკლამო ტექსტს,
მთელი პასუხისმგებლობა რეკლამის
შემკვეთს ეკისრება.

მისამართი: თბილისი, ლესელიძის ქ. №27,
მე-2 სართული, ოთახი №3, ტელ.: 790 74 68 10
ელ-ფოსტა: nino153@mail.ru

**ჟინჯაღვი მასალების
მართვაშემაჯობა ფასიანია!**

ნიკოლოზი



წმიდა ნიკოლოზ სასწაულთმოქმედი მცირე აზიაში, ლუკიის მხარის ქალაქ პათარაში ქრისტეს შობიდან 257 წელს დაიბადა. მის მშობლებს თეოფანეს და ნონას დიდხანს არ ჰყავდათ შვილი. ისინი ძალიან მდიდრები იყვნენ და თავიანთი ქონებიდან გაჭირვებულთათვის უამრავ მოწყალეებას გასცემდნენ. ამის გამო ადამიანთა სიყვარულითა და პატივისცემით იყვნენ გარემოსილნი. ამ სათნოებისათვის და ღვთისმობში ცხოვრებისათვის, აგრეთვე გულმხურვალე ლოცვისათვის ღმერთმა მათ ვაჟი უბოძა, მომავალი მღვდელმთავარი და სასწაულთმოქმედი. სასწაულთმოქმედების უნარი წმინდა ნიკოლოზმა შობიდანვე გამოამჟღავნა.

სიყრმიდანვე უყვარდა სახარების კითხვა, ტაძარში სიარული და დიდ დროს უთმობდა გულმოდგინე ლოცვებს. მშობლებიც უწყობდნენ ხელს ბიჭს ასეთი ხასიათის ჩამოყალიბებაში. ისინი არა მარტო სახლში, გზაშიც კი არ წყვეტდნენ ნიკოლოზის ქრისტიანულ აღზრდას და მათი სწავლება ისე მტკიცედ გაუფჳდა ბავშვს, რომ ბავშვობიდანვე შეიყვარა გლახაკები.

არასდროს ისე არ ჩაუვლიდა, სანუგეშო სიტყვა რომ არ ეთქვა და მოწყალეება არ მიეცა მათთვის. ამის შემხედვარე ბიძამ, პათარას ეპისკოპოსმა, დაარწმუნა მშობლები, მიეცათ შვილი ღვთის სამსახურში და მათი ნებართვით აიყვანა იგი მღვდლის ხარისხში.

წმინდა ნიკოლოზს არასდროს შეუწყვეტია ტანჯულთა შემწეობა, დამცირებულთა და უსუსურთა განმტკიცება, სათნო საქმეების კეთება. მღვდელმთავრობისას კი უფრო მკაცრ მოსაგრეობას ეწეოდა, იყო განუწყვეტლივ მღვიძარებაში, მკაცრ მარხვასა და ლოცვაში, სულ უფრო მაღლა და მაღლა იწევდა სრულყოფილების საფეხურებზე, სულ უფრო უახლოვდებოდა უსხეულო მდგომარეობას.

როცა მისი მშობლები გარდაიცვალნენ და მას მდიდარი მემკვიდრეობა დაუტოვეს, წმინდა ნიკოლოზმა მთელი ეს ქონება ღარიბ-ღატაკ ადამიანს შესწია. ყოველივე ამას აკეთებდა უჩუმრად, სხვებისაგან დამალულად. შემდეგ იგი პალესტინაში გაემგზავრა წმიდა ადგილების თავყვანსაცემად.

სამშობლოში დაბრუნებული ნიკოლოზი ქალაქ მირონში წავიდა. იქ იგი ეპისკოპოსად აირჩიეს. აძლიერებდა წმინდა ნიკოლოზი თავის სამწყსოს. იგი მფარველი ანგელოზით ეცხდებოდა ყველა დევნილს, თავისი სათნო სიტყვითა და ნუგეშით ამხნეებდა ყველას. ამისთვის იგი შეიპყრეს და სხვებთან ერთად დილეგში ჩააგდეს. იგი მხნედ იტანდა შიმშილს, წყურვილს, ტანჯვას. საპყრობილეშიც ქადაგებდა ღვთის სიტყვას, გასცემდა მოწყალეებას. ანუგეშებდა იქ მყოფთ თავისი საუბრებით, საპყრობილეც საქადაგებელ ადგილად აქცია. 8 წელი გრძელდებოდა ასე.

გავიდა დრო და მდგომარეობა გამოკეთდა. კონსტანტინე დიდმა, რომელიც დიოკლიტიანეს შემდეგ გახდა იმპერატორი, ქრისტიანთა მფარველობა იწყო და თვითონაც ქრისტიანი გახდა.

წმინდა ნიკოლოზი 342 წლის 6 დეკემბერს ღრმად მოხუცებული (85 წლისა) გარდაიცვალა.

მისი სხეული საზეიმოდ დაკრძალეს ქალაქის საკათედრო ტაძარში. მისი უხრწნელი ნაწილები მაშინვე გამოსცემდნენ კეთილსურნელებას და მირონს. მისი შეხებით სნეულნი იკურნებოდნენ. მრავალი საოცრებანი ხდებოდა მის კუბოსთან. ამის შესახებ ამბები სწრაფად გავრცელდა მთელს ქვეყანაში და მლოცველთა ტალღამ ტაძრისაკენ იწყო დენა.

ტროპარი:

კანონად სარწმუნოებისა, და ხატად სიმშვიდისა, და მოძღვრად მარხვისა გყო შენ ქრისტემან, სამწყსოსა შენისათვის ჭეშმარიტებით, ამისთვისცა მოიგე სიმდაბლითა სიმაღლე და სიგლახაკითა სიმდიდრე, წმინდაო მღვდელმთავარო ნიკოლოზო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალეზად სულთა ჩვენთათვის.

კონდაკი:

მირონით გამო, წმიდაო, მსხვერპლის შემწირველად გამოსჩნდი, რამეთუ შენ ქრისტეს სახიერება აღასრულე, და დასდევ სული შენი ერისა მისთვის შენისა, და იხსენ უბრალონი სიკვდილისაგან, ამისთვისცა წმიდა იქმენ შენ, დიდი მესაიდუმლე მაღლისა ღმრთისა.



შენ მიეძებინანს წელი 2016, წითელი მაიმუნის წელი?

მთავარი წლის სიბოლო აკის წითელი მაიმუნი, კომედიტ აკის ხელთგანი, აქვს შესტენტკიული ხასიათი და სევე კლიეკი ინტუიციას. ის მატავს დღეს 15:00 დან 17:00 საათამდე.

იღვლიანი ციფრები: 4 და 9

ყვავილები: ქრიზანთემა, ინდური იასამანი.

ფერები: თეთრი, ლურჯი, ოქროსფერი.

შესაბამისი პარტნიორი: გველი, ვეფხვი, მაიმუნი, მამალი.

დადაბითი თვისებები: რაციონალური, ერთგული, გულწრფელი, შემოქმედების უნარით დჯილდოვებული, მაღალი ინტელექტის მქონე.

უარყოფითი მხარეები: ზედმეტად ემოციური, კაპრიზული, გულგრილი.

შესაფარისი პროფესიები: კონსულტანტი, ექიმი, არქიტექტორი.



მაიმუნს სურს აისრულოს ყველა სურვილი, ამავე დროს არის ჯიუტი და არაპროგნოზირებადი-ძნელია გამოიცნოთ თუ რა ჩაიფიქრა მან. მისი ქმედებები, როგორც წესი ქაოტურია და შეიძლება შეცვალოს ნებისმიერ დროს, რაც დამოკიდებულია მის ხასიათზე.



მაიმუნი ეს არის არსება, რომელსაც აინტერესებს ყველაფერი. ეს გამოიწვევს იმას, რომ ადამიანი ჩაერევა სხვის საქმეებში და მათ თავის იდეებს მოახვევს. 2016 წლის მმართველი ჩვენ სიუპრიზებს გვიმზადებს და რთულია გამოვიცნოთ ეს როდის მოხდება და რით გაგვახარებს. მაიმუნი არის ძალიან ჭკვიანი, დახვეწილი, მაგრამ, ამავე დროს ირონიული. მას შეუძლია დასცინოს ძლიერ დრაკონს, ასევე არ ეშინია იხუმროს ვეფხვზე.



ის არის დამოუკიდებელი და ყველაფერს მარტო აკეთებს. მას ურჩევნია მალე გადაწყვიტოს პრობლემები, ვიდრე მათ გადაჭრაზე დიდხანს იფიქროს. აღმოსავლეთ ჰოროსკოპის თანახმად, მაიმუნს უყვარს სახლი და ოჯახი, მას ხიბლავს თბილი კერა და ის მშვენიერი დედაა. სწორედ ამიტომ 2016 წელი იდეალურია იმისთვის, რომ შექმნათ ბედნიერი ოჯახი, სადაც იქნება სიყვარული და ურთიერთგაგება.

ასტროლოგის რჩევები

ამ წელს დაბადებულები ყველაზე არასასიამოვნო და არამყარი ხალხია. მეორე მხრივ, ისინი ჭკვიანები, ორიგინალურები დამოხერხებულები არიან, გააჩნიათ გამომგონებლის ნიჭი და ადვილად წყვეტენ თვით ყველაზე რთულ პრობლემასაც კი. შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს საქმე, რომლისთვისაც თავის გართმევას ისინი ვერ შეძლებენ.

მაიმუნის სუსტ ხასიატზე მიგვითითებს თუნდაც ის, რომ ადვილად შეიძლება მისი დაყოლიება და ასევე ადვილად იცვლის ინტერესების სფეროს, რადგან არ ყოფნის მოთმინება ბოლომდე მიჰყვას საქმეს, ყველა პრობლემის გადაჭრა სურს უცებ, მომენტალურად. სულ უბრალო წინააღმდეგობაც საკმარისია, რომ დასახულ მიზანზე ხელი აიღოს. ასევე უცებ ეცვლება გუნება-განწყობილება. ეს ხალხი გამოირჩევა ტემპერამენტით და სიფიცხით. მაგრამ, მეორეს მხრივ, გაბრაზება ადვილად გადასდით და წყენას გულში არ იტოვებენ, აქვთ დამოუკიდებელი მოქმედების უნარი, გააჩნიათ სადი აზროვნება, გამჭრიახობა, ბევრ მათგანს შეუძლია სახელის მოხვეჭა.

ა) ადამიანები, რომლებიც იდეალურად შეგეფერებათ როგორც სიყვარულსი, ასევე მეგობრობაში: ურჩხული და ვირთხა.

ბ) ადამიანები, რომლებთანაც თქვენი ურთიერთობა ნაკლებადაა გამართლებული: კურდღელი, ცხვარი, ძაღლი და მაიმუნი.

გ) ადამიანები, რომლებიც საერთოდ არ შეგეფერებიან არცერთი და არც მეორე თვალსაზრისით. უფრო მეტიც, მათთან კავშირმა უბედურება და კატასტროფაც კი შეიძლება მოგიტანოთ: გველი, ტახი და ვეფხვი.

**ახარი წრის ღამეს ყვერა სასწაურის
მორორინშია და თითოეური თქვენგანი
მომავარ 365 დღეს დიდი იმედიტ შეყახებს.
კიდეუ აფხო მეტი სიყვახური, ნახმატება და
ბედნიეხება სწყახით. ახრა კი გავიგოთ ხას
მოგვიტანს მაიმუნის წერიწარი.**



ვერძი - უპლიარესი მატოქა



ძალიან პირდაპირ და შემტევ ვერძს უმჯობესია უფრთხილდეთ. თუმცა მისი მთავარი კოზირი ვნებიანი კოცნაა. ძალიან ტემპერამენტიათი არიან. ხშირად თავხედებიც, თუმცა სწორედ ეს ეხმარება მაღალი მწვერვალების დაპყრობაში. ვერძებმა ყოველთვის იციან რა და რატომ სურთ ცხოვრებაში. თუ ამ სტატიას გაიზიარებთ წინ 4 წარმატებული წელი გელით.

კურო - აღწავს ნაბისმიარ მიზანს



ხანმოკლე რომანები კუროს სტილი არ არის, მხოლოდ სერიოზულ ურთიერთობებს სჯერდება. პრინციპულად მნიშვნელოვანია მიზნების მიღწევა. მათთვის შეუძლებელი არაფერია. კარგი კოცნა იციან და პარტნიორი ყოველთვის კმაყოფილია, როგორც ფიზიკურად ისე მორალურად. ამ სტატიის გაზიარების შემთხვევაში წინ 2 ბედნიერი წელი გელოდებათ.

ტყუავი - ორმაგად იღვლიანები



ყველაზე ღირსეული ადამიანები. მათ ფანტაზიასა და იდეებს საზღვარი არ აქვს. ხანდახან მათი რჩევები ურსარგებლოდ და სისულელედ გეჩვენებათ, თუმცა დგება დრო როცა მათ ჭეშმარიტებაში რწმუნდებით. არასდროს მიგატოვებთ რთულ სიტუაციაში. უბრალოდ მიიღეთ ისეთი, როგორც არის. სტატიის გაზიარება მომავალი 3 წლის მანძილზე დაუსრულებელ ბედნიერებას გიქადით.

ასტროლოგის რჩევები

პირჩხივი - აღიარებული



ყველაზე თბილი ზოდიაქოს ნიშანი. ქარიზმატულები და ძალიან ნიჭიერები არიან. ხანგრძლივი და ღრმა სიყვარული შეუძლიათ. თუ კირჩხიბმა შეგიყვარათ, თქვენ ყველაზე ბედნიერი ადამიანი ხართ დედამიწაზე. მის გულსა და ფიქრებში საუკუნოდ დარჩებით. თუ სტატიას გაიზიარებთ, მომავლში დიდი წარმატება გელით. 2016 წელს თქვენში ახალ შესაძლობლებს აღმოაჩენთ.

ლომი - სამყაროს მეფე



ყოველთვის გაცილებით მარტივად აღწევენ სასურველს, ვიდრე დანარჩენი ზოდიაქოს ნიშნები. ყველაზე ძლიერები და ვნებიანები არიან. ბრძენი და კარგი მრჩეველია. ნებისმიერ დღესასწაულს დაუვინყარს გახდის. შეუდარებელი საყვარელია. თუ თქვენს ცხოვრებაში ლომი გამოჩნდება, არავის დაუთმობთ. სტატიის გაზიარებისთვის 3 წელი გამართლება და წარმატებები გელით.

ქალწული - ერთგული და ვნებიანი



არავის შეუძლია მისთვის უარის თქმა. შრომისმოყვარე და მზრუნველია. კარგი მოსმენა იცის და საჭირო დროს ყოველთვის გამოთქვამს საკუთარ აზრს. ტყუილს არასდროს პატიობენ. თუ საკუთარ ქალწულს იპოვით მშვიდად მიენდეთ. მთელი ცხოვრება თქვენი გვერდში მდგომი და მშველელი იქნება. თუ სტატიას გააზიარებთ, წარმატება თქვენი ცხოვრების თანამგზავრი გახდება.

სასწორი - ბალანსირებული და ბედნიერი



ყველაზე ხასხასა ზოდიაქოს ნიშანი. შეუძლებელია მათი დავინყება. საკუთარ სამყაროში, პირად ოცნებებსა და ფანტაზიებში ცხოვრობენ. თუმცა საჭირო დროს ძალიან გამოგადგებათ. ოპტიმიზმი მათი მეორე "მეა" საიმედო მეგობრები და ერთგული საყვარლები არიან. გაიზიარეთ სტატია და 5 წელი გიჟური სექსი გექნებათ, იღბალი კი არასდროს მოგშორდებათ.

მორიელი - მავნითა ზოდიაქოს ყველა ნიშნისთვის



მორიელს შეუძლებლის გაკეთება შეუძლია. მათი იუმორის გრძნობა მომნუსხველია, სექსუალურობა კი დაგიმონებთ. უყვართ ბევრი ფული. ხანგრძლივი ურთიერთობები ურჩევნიათ, თუმცა არც მსუბუქ ფლირტზე ამბობენ უარს. გაიზიარეთ - მომდევნო 2 წელს დიდი ფინანსური წარმატება გელით.

მშვილდოსანი - საიმედო მარტოხელა



საიმედო და ერთგულია. ვნებიანი საყვარელი და სექსუალური მარტოხელაა. შესანიშნავი მშობლები არიან. თუმცა პარტნიორულ ურთიერთობაში საკმაოდ რთულები არიან. სასწაულების სჯერათ, თუმცა ცხოვრებისეულ საკითხებს რეალისტურად უდგებიან. მზრუნველობა შეუძლიათ, ამიტომ ეს ადამიანები თქვენი ცხოვრებიდან არ უნდა გაუშვათ. 2016 წელს ახლობლები სასიამოვნო სიურპრიზებით გაგანებიერებენ.

თხის რქა - ვნებიანი მამაკაცი



თავს არასდროს შეინუხებენ და მონახავენ ვინმეს, ვინც მათ ნაცვლად გაირჯება. ჭკვიანები და თავხედები არიან. არავის ვურჩევთ მტრად გაიხადონ, რადგან მათი გეგმები ხომ ყოველთვის გენიალურია. შესანიშნავი მოსაუბრეები არიან. კარგი ფიზიკური მონაცემებით გამოირჩევიან. არიან ვნებიანი საყვარლები. 2016 წელი ნანატრ შეხვედრას გიქადით და სასიამოვნო მოვლენებით ხანგრძლივ სიამოვნებას გპირებათ.



მერწყული - ნატიფი საყვარლები

სანდო და შრომისმოყვარეა. იციან საკუთარი თავის ფასი. შეგიძლიათ ყველაზე ცუდი საიდუმლოც კი გაუმხილოთ. სექსში ნამდვილი დომინანტები არიან, რადგან კარგად იციან რა სურთ. ბრძოლაში ყოველთვის ერთვებიან. იბრძვიან სამართლიანობისთვის, ღირსებისა და სექსისთვის. 2016 წელს წარმატება და ფინანსური უზრუნველყოფა გელით.




თევზები - იდეალური პარტნიორი

ახლობელი ადამიანისთვის სულს გაიღებს, თუმცა უცნობთან დიდ სიფრთხილეს იჩენს და ყოველთვის ფხიზლადაა. ყველაზე მზრუნველი და ყურადღებიანი ზოდიაქოს ნიშანია. მათთან კამათი არ ღირს, რადგან უმეტეს შემთხვევაში მართლები არიან, ინტუიცია არასდროს ღალატობთ. რთულია მათი არ შემჩნევა, რადგან შესანიშნავი იუმორის გრძნობა აქვს და ყოველთვის მოვლილად გამოიყურება. ნებისმიერი ფილმის მთავარი გმირები არიან. 2016 წლის განმავლობაში აუცილებლად იპოვით მეორე ნახევარს.



... 2016 წლის მშობენებელი

მაიმუნები საკუთარ სახელს ნამდვილად ამართლებენ. ამ წელს დაბადებულ ადამიანებს, განსაკუთრებული გამჭრიახობა, კარგი ინტუიცია და ოსტატური ლავირების უნარი აქვთ. მაიმუნი ცვალებადი და მოუხელთებელი ბუნებისაა, შეუძლია იყოს მაცდური, გულუხვი, სასტიკი.. გააჩნია სიტუაციას და მიზანს, რომელიც მას იმ მომენტში აქვს დასახული. ამ ადამიანებს აქვთ გასაოცარი უნარი, ნებისმიერთან ადვილად და უპრობლემოდ შევიდნენ ახლო კომუნიკაციაში და მოიპოვონ მისი ნდობა. ამოად ეცდებით თქვენ მიმართ მისი რეალური ზრახვები გამოიცნოთ, მაიმუნს ოსტატურად ეხერხება, საკუთარი თუნდაც უარყოფითი დამოკიდებულება სხვების მიმართ, თავაზიანობის ნიღბის უკან დამალოს. თუმცა შესაძლოა ამ დროს, იგი თავის თავს ზოგიერთებზე გაცილებით მაღლა აყენებდეს. ეს ადამიანი უზომოდ პატივმოყვარე და ამაყია. აქვს კარგად განვითარებული შორსმჭვრეტელობის ნიჭი, რასაც ერუდიციისკენ დაუღალავი სწრაფით და ინტელექტის ამალგებით იმყარებს. იგი უზომოდ ცნობისმოყვარეა, ამიტომ ბევრს კითხულობს და როგორც წესი, ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის საქმის კურსშია, რაც ქვეყანაზე ხდება. კარგად განვითარებული მეხსიერების უნარი და წარმოსახვის ნიჭი, საშუალებას აძლევს მას, ხშირად დეტალებში აღიდგინოს ნაკითხულის, ნანახის და გაგონილის შინაარსი. მაიმუნისთვის ასეთი მეხსიერება ჰაერივით აუცილებელია, რადგან როგორც წესი ამ ადამიანებს არაფერი აქვთ წესრიგში და მათ ცხოვრებაში მუდმივი ქაოსი სუფევს. მაიმუნი უკიდურესად ორიგინალური, კრეატიული და გამჭრიახია. აქვს გასაოცარი უნარი, სწრაფად იპოვოს გზა, ყველაზე რთულად გადასაჭრელი პრობლემების მოსაგვარებლად. მაგრამ თუ სპონტანურად არ უწევს მას ამის გაკეთება, მალევე კარგავს ინტერესს და მოტივაციას. ამ ადამიანის ბოლომდე გაცნობა საკმაოდ რთული და შეიძლება ითქვას შეუძლებელიც კია. იგი არათუ სხვებს, ბოლომდე საკუთარ თავსაც არ ენდობა. აქედან გამომდინარე, ოჯახის შექმნის შემთხვევაშიც კი იშვიათად ახასიათებს პარტნიორის მიმართ განსაკუთრებული მიჯაჭვულობა.



ნიჭიერი და ფრთხილი მაიმუნი პარტნიორებთან ერთად



პირი მაიმუნი - მართალია მერყევი ხასიათით გამოირჩევა, მაგრამ ამ ადამიანს გასაოცარი უნარი გააჩნია ნებისმიერი პრობლემიდან იპოვნოს გამოსავალი. მაიმუნ ვერძს ხასიათის სიმყარე არ ახასიათებს, ამიტომ იგი ხშირად იცვლის ინტერესების სფეროს და გარემოცვას. ერთი შეხედვით უდარდელის და მეამიტის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ ეს ნუ მოგატყუებთ, საჭიროების შემთხვევაში, ამ ადამიანს თავდაცვაც და თავდასხმაც ერთნაირი ოსტატობით შეუძლია.

კურო მაიმუნი - რომანტიული და მეოცნებე კურო -მაიმუნი, გარშემომყოფებთან ადვილად ამყარებს მეგობრულ ურთიერთობას. მას უყვარს სილამაზე, კინემატოგრაფია, მუსიკა..მოკლედ, ყველაფერი რაც კავშირშია შემოქმედებასთან. ამიტომ გასაკვირი როდია, რომ ამ ადამიანებს შორის ხშირად გვხვდებიან სხვადასხვა პროფილის მქონე ხელოვანები. თუმცა კუროს სიზანტე და პასიურობისკენ მიდრეკილება, ხშირად აიძულებს მაიმუნ-კუროს, რომ ვინმე ენერგიული პარტნიორი ან აქტიური თანამოაზრე ეძებოს საკუთარი ჩანაფიქრის განსახორციელებლად.

ტყუპი მაიმუნი - როგორც წესი, მაიმუნ-ტყუპს უამრავი ბრწყინვალე იდეა მოსდის თავში, მაგრამ მიუხედავად ნიჭიერებისა, ამ ადამიანს იშვიათად ყოფნის ნებისყოფა დაწყებული საქმის ბოლომდე მისაყვანად. თუმცა თუკი გაცილებით განზნანსწორებულ პარტნიორს იპოვნის, მისი იდეები (მათგან ბევრი მართლაც რომ ბრწყინვალე!) შესაძლოა განხორციელდეს კიდევ. მაიმუნი-ტყუპი არაკონფლიქტური პიროვნებაა, დაძაბულ სიტუაციაში იგი კამათში ჩაბმას ერიდება და თავის გარიდებას არჩევს. ამასთან ერთად მას წყენის გულში ჩადება არ ახასიათებს, აქედან გამომდინარე მტერი, როგორც ასეთი მაიმუნ-ტყუპს ცხოვრებაში იშვიათად ჰყავს.

კირჩხიბი მაიმუნი - ერთი შეხედვით უწყინარი და დაუცველი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს, თუმცა ეს მხოლოდ ნილაბია რომელსაც მაიმუნი-კირჩხიბი საზოგადოებაში იყენებს. რეალურად კი ეს ადამიანი არაჩვეულებრივი სტრატეგია და ყველა შესაძლო სვლა გათვლილ-გაანგარიშებული აქვს ცხოვრებაში. კირჩხიბ-მაიმუნს უყვარს ფული, შესაბამისად მის მოსაპოვებლად არაფერს ერიდება, თუმცა მაქინაცხები რომელსაც იგი მაიმუნის ეშმაკობით ანხორციელებს, ბევრისთვის აფსოლუტურად ამოუხსნელი და გაუგებარია.

ლომი მაიმუნი - უზომოდ ცნობისმოყვარე, კომუნიკაბელური და ავანტიურისტი მაიმუნი-ლომი, ხასიათის ცვალებადობით გამოირჩევა. რისკის სიყვარული, ხშირად უბიძგებს მას იმისკენ, რომ საეჭვო გარიგების მსხვერპლი გახდეს. თუმცა უნარი, ადამიანებს სიკეთე გაუკეთოს და საჭიროების შემთხვევაში გულითადი მეგობრობა აღმოუჩინოს შველის მაიმუნ-ლომს იმაში, რომ ნებისმიერ სირთულეს თავი ღირსეულად დააღწიოს.

ქალწული მაიმუნი - მისგან შესანიშნავი ბიზნესმენი (ბიზნესლედი) ან გამომძიებელი შეიძლება დადგეს. ქალწული-მაიმუნი ბუნებით მაძიებელი და რისკის მოყვარულია. მას მაგნიტივით იზიდავს ყველაფერი რაც იდეუმალების ბურუსითაა მოცული და ცხრაკლიტულში დევს. ამასთან ერთად, ეს ადამიანი პატარა ასაკიდან დამოუკიდებლობის სიყვარულით გამოირჩევა, რის საფუძველზეც მას შეუძლია ცხოვრებაში ნებისმიერ სირთულეს თავი სრულიად მარტომ გაართვას.

სასწორი მაიმუნი - იგი წინდახედული, გონიერი და საკმაოდ ეშმაკია. მაიმუნის შორსმჭვრეტელობა და მოქნილობა, სასწორისთვის დამახასიათებელ გარეგნულ ხიბლთან ერთად საკმაოდ სახიფათო ადამიანს აყალიბებს. მაიმუნმა-სასწორმა ყოველთვის კარგად იცის რა უნდა, მაგრამ მიზანს იგი როგორც წესი შემოვლითი გზებით უახლოვდება. ეს ადამიანი კარგად ახერხებს მოკავშირეების პოვნას, თუმცა თვისება ერთბაშად ორ კურდღელს სდიოს, ხშირად ხდება მისთვის წარუმატებლობის მიზეზი.

მორიელი მაიმუნი - არაპროგნოზირებადი, ნიჭიერი და ძალიან ფრთხილი მაიმუნი-მორიელი, ბევრისთვის წარმოადგენს საშიშ მოწინააღმდეგეს. ამ ადამიანის მოქმედების წინასწარ გამოცნობა ძალზე რთულია. მას შეუძლია ნებისმიერი რამის ჩადენის უფლება მისცეს საკუთარ თავს, თუკი კონკრეტულ სიტუაციაში ასე აწყობს. მაიმუნი-მორიელი, იშვიათად ეხმარება ვინმეს უანგაროდ, თუმცა ჩადენილ სიკეთეს არასოდეს ივინყებს და ყოველთვის ცდილობს ვალში არასოდეს დარჩეს კეთილისმყოფელის წინაშე.

მშვილდოსანი მაიმუნი - ერთერთი საუკეთესო კომბინაციაა მაიმუნისთვის. მშვილდოსანი-მაიმუნი დაკვირვებული, მიზანსწრაფული და განონასწორებული ტიპია. ამ ადამიანს შესანიშნავი ორგანიზატორული ნიჭი და ლოგიკური აზროვნების უნარი გააჩნია, იგი კარგად ახერხებს ერთმანეთისგან გაარჩიოს არასაჭირო და მართლა გამოსადეგი ინფორმაცია, ისევე როგორც ადამიანები. აქედან გამომდინარე, მაიმუნ-მშვილდოსნებს ხშირად უწევთ ცხოვრებაში მაღალი პოსტის დაკავება და ხელმძღვანელის როლში ყოფნა.

თხის რქა მაიმუნი - მიზნისკენ ჯიუტად, ნაბიჯ-ნაბიჯ მიმავალი თხის რქის და ცხოვრების გზაზე უდარდელად მოხტუნავე მაიმუნის თვისებების თავმოყრა, დამეთანხმებით საკმაოდ რთული კომბინაციაა. თუმცა მაიმუნი-თხის რქა, რომელსაც არაჩვეულებრივი ინტუიცია და კარგი ფინანსური ალლო გააჩნია, სწორედ ამ თვისებების წყალობით ახერხებს, ოსტატურად გადაახტეს სახიფათო მონაკვეთებს, ისე რომ საკუთარ მისწრაფებებზე უარი არასოდეს თქვას.

მერწყული მაიმუნი - შესანიშნავი კომბინაციაა. მაიმუნის ეშმაკობა და ლავირების უნარი, მერწყულის ჰუმანიზმთან და კაცთმოყვარეობასთან ერთად, ძალზე საინტერესო და მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოვებულ ადამიანს იძლევა. მაიმუნ-მერწყულს უყვარს სწავლა, ამიტომ გამუდმებით ცდილობს ერუდიციის დონე აიმაღლოს. იგი უზომოდ ცნობისმოყვარე და კონტაქტურია, თუმცა პერიოდულად მარტოობაც ესაჭიროება, აქედან გამომდინარე მის ცხოვრებაში აქტიურ პერიოდებს, ხშირად ცვლის აფსოლუტური პასიურობის ხანა, რომლის დროსაც მაიმუნი-მერწყული დახარჯულ ძალებს ინაზღაურებს.

თიკვავი მაიმუნი - ეს მოსიყვარულე, ემოციური და გულმონყალე ადამიანია. თუმცა, მიუხედავად გარეგნული სიფაქიზისა, თევზი-მაიმუნიც, ისევე როგორც დანარჩენი მაიმუნები, უზომოდ ჭკვიანი და წინდახედულია. ამიტომ იგი კარგად სწავლობს საკუთარ შეცდომებზე. მათგან შესანიშნავი დიპლომატები და საზოგადო მოღვაწეები გამოდიან.

სალაღობოდ



სარკე და მაიმუნი

ივანე კრილოვი

თარგმანი აკაკი წერეთლისა



მაიმუნმა თავის თავი
სარკეში რომ დაინახა
დანრანჭული, დაჯღანული,
დათვს წასტორა, მიაძახა:

„მოდი, ერთი ჩაიხედე!
რა გიჩვენო, დათუჩაო?
ვინ არის და სად მოსულა
ეს მახინჯი და ტუჩაო?“

მე რომ ვიყო მაგისტანა,
დაუძალავდი სწორედ თავსო,
თუმცა ჩვენშიც კი ბევრია,
რომ სრულებით მაგას ჰგავსო!“

დათვმა უთხრა: „ჩემო დაო!
რად ათითებ ტყვილა სხვებსო?
შენს თავზე რომ დაიხედო,
მე ვგონებ, ის აჯობებსო“.

ასტროლოგია

ხალხში გავრცელებულია გამოთქმა, რომ ახალ წელს როგორც შეხვდები, მთელ წელს ისე გაატარებ. ამ სადღესასწაულო დღეებისათვის მართლაც რომ განსაკუთრებულად ვემზადებით და მის დადგომას ყოველთვის მომავალ სასიკეთო ცვლილებას ვუკავშირებთ. მაინც როგორ უნდა შეხვდეთ ახალ წელს და რა საჭირო ნაბიჯები გადავდგათ? ფსიქოლოგები და პარაფსიქოლოგები რამდენიმე განსაკუთრებულ რჩევას გვთავაზობენ.

უპირველეს რიგში საჭიროა, რომ საკუთარი ბინა გავაპრიანოთ. ამ დარბის სპეციალისტები რეკომენდაციას გვაძლევენ, რომ საძირსაგან აუცილებლად 31 დეკემბრის დღიდან შევუდგეთ. ბინა ძველი ცოცხით უნდა დავვაკოთ. შუადღისას ცოცხი სახლიდან რაც შეიძლება შორს უნდა გადავავლოთ, მისი შემცვლელი კი შესასვლელ კართან, კუთხეში მოვათავსოთ. ეს იმიტომ კეთდება, რომ ოჯახში ფული შემოვიდეს.

საახალწლო სუფრას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ. აუცილებელია ტრიზუთი თხილი და თაფლია, რომლებსაც ოჯახისათვის ბარაქა და სიმდიდრე მოაქვს. ასევე მისასალმებელია, თუ სუფრაზე დააწყობთ ფორთოხალს. ფორთოხალი ჩინელებისათვის მატერიალური უზრუნველყოფის ერთ-ერთი მთავარი სიმბოლოა.



ყურადღებით შეარჩიეთ სათანადო მიკვლა. თუ პირველი სტუმარი წარმატებული ადამიანი აღმოჩნდება, თქვენს ოჯახს მთელი წელი წინ სვლა გარანტირებული ექნება. მომავალი წლის ფინანსური უზრუნველყოფისათვის საჭიროა რომ ახალი წლის დამეს მთვარეს მსხვილი ფული ვუჩვენოთ. ეს ცოტა არ იყოს სარისკო რიტუალია, რადგან ფული მხოლოდ ახალ მთვარეს უნდა დავანახოთ, რომელიც შევსებული ჯერ არ არის.

პარაფსიქოლოგის რჩევები. პარაფსიქოლოგები კატეგორიულად გვიკრძალებენ ახლობელ-მეგობრებისათვის ალკოჰოლური სასმელების ჩუქებას. ამ სახის საჩუქარი თურმე ოჯახის წევრ „ძლიერი სქესის“ წარმომადგენლებზე უარყოფითად მოქმედებს და ერთგვარი ჯადოს ფუნქციასაც ასრულებს.

ახალი წლის პირველ დღეს აკრძალულია დაულაგებელი სახლით შეხვედრა, წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი წლის განმავლობაში თქვენს სახლში ქაოსი და არეულობა იქნება.

პირველი იანვრისათვის მრავალ ტკბილეულობას ვამზადებთ. მაინც შეეცადეთ, რომ სუფრა საკუთარი ხელით გამომცხვარი თაფლაკვერებით გაამდიდროთ, რადგან ეს კულინარიული ნაწარმი მთელი წლის განმავლობაში ბოროტი ძალების გავლენისაგან დაგიცავთ.

ნაძვის ხის განყოფილებაზე ადვილი არაფერი არ არის, მაგრამ თურმე მასაც საკუთარი ფილოსოფია გააჩნია. ბოლო პერიოდში, ევროპაში აპრობირებული გამოცდილებიდან გამომდინარე გეტყვით, რომ თურმე ნაძვის ხის განყოფის რამდენიმე წესი არსებობს.

მონო ნაძვის ხე — ნაძვის ხე, რომელიც მხოლოდ ერთი ფერისა და ზომის ბურთებითაა მორთული. დაგჭირდებათ ბურთებისგან განსხვავებული ფერის “წვიმები”.

შოტლანდიელი — სახელწოდებიდან გამომდინარე ადვილი მისახვედრია, რომ უამრავი კუბოკრული ნაჭერი დაგჭირდებათ, განსაკუთრებით ლენტები.

რატრო — წინაპრების ტრადიციები გაიხსენეთ და ნაძვის ხე კანფეტებით, ვაშლებითა და მანდარინებით მორთეთ. თუ ბებიების შემორჩენილი სათამაშოებიც შემოგრჩათ, ნაძვის ხე კიდევ უფრო დამშვენდება.

ალტარნატივა — ეს ერთდროულად ადვილი და ამავდროულად რთული სტილია. ამ შემთხვევაში საკუთარ ფანტაზიას უნდა დაეყრდნოთ და სათამაშოების ნაცვლად შეგიძლიათ ხელით ნაქსოვი წინდები დაკიდოთ, ან სულაც ბურთების ნაცვლად ხე დიდ საოჯახო ფოტოალბომსაც გადააქციოთ და მის ტოტებზე ახლო ნათესავების სურათები ჩამოკიდოთ. მერწმუნეთ, რომ თქვენი საახალწლო ნაძვის ხე, მართლაც რომ ყველაზე ორიგინალური აღმოჩნდება.


უკა სთუბიას ცხოვრების გადამღილი ტრეული

ეკა სოფარიას ცხოვრების დღიურის ფურცლები ბავშვური მოგონებებით, გაბრაში ბავიანთან გატარებული დღეებით არის ალბომი. ასეთი შთაბეჭდიანი ეპიზოდები მის ცხოვრებაში არაერთხელ ყოფილა, როცა უმაღლესი წინააღმდეგობა, მუშაობა გაზაფხულში, შემდეგ ტელევიზიაში დანიშნო, გათხოვდა, გაუჩნდა შვილი, ქმარს გაშორდა, ისევ გათხოვდა, ზღვისპირა ქალაქში ზღაპრული ქორწილი გადაიხადა, შეაქინა მეორე შვილი – ნიკოლოზი. დღეს ტელეწამყვანი ამბობს, რომ თავის ახლანდელ ქმართან, ექიმ მიშა ხუჯაძესთან თავს გადნიერ ქალად გრძნობს და იმ დღეს ალტაცებით იხსენებს, როცა მას შეხვდა.

– ოჯახში მეორე გოგო ვარ. დედაჩემი თვრამეტი წლის იყო, მარცხა რომ გააჩინა, წელიწად-ნახევრის შემდეგ მე გავჩნდი, შვიდი წლის შემდეგ კი – თეა. სხვათა შორის სახელები სამივეს მამამ დაგვარქვა. მიუხედავად იმისა, რომ მეორე ბიჭი უნდოდათ, ოჯახში განებვირებული ვიყავი, რითაც მარცხა დაიჩაგრა. თვითონაც ისეთი ტიპი ვიყავი, რომ უფრო მეტ ყურადღებას ვითხოვდი. მაშინ ძიძები იშვიათი იყო და ყველაფერს დედაჩემი აკეთებდა. ბებიანი იშვიათად ჩამოდიოდა თბილისში.

– როგორც ვიცი, ბებიას, დედის დედას ჰგავხარ. მოგიყევი მასზე.

– ბებია ნახევრად აფხაზი იყო, ბაბუა – ქართველი, რომელიც ძალიან ადრე გარდაიცვალა, 27 წლის ასაკში. მისი მკვლელობა იმდროინდელ წყობას უკავშირდება. ომში წავიდა, იქიდან რომ ჩამოვიდა, ბათუმში კომენდანტად მუშაობდა და შემდეგ სოფელში დასახლდნენ. როდესაც მეკითხებიან, ვის ჰგავხარო, ვპასუხობ – ბებიას-მეთქი, ძალიან ძლიერი ბუნების, მაღალი, ლამაზი, წარმოსადეგი გარეგნობის ქალი იყო, უკან გადაწეული თმით. მთელ ოჯახს მისი იმედი ჰქონდა. ძალიან ლამაზი სახლი გვქონდა და ვატყობდი, უნდოდა, სხვასაც ასე ლამაზად ეცხოვრა. დიდ ყურადღებას აქცევდა იმასაც, როგორ გამოიყურებოდი, რა გეცვა. ერთი მხრივ, ავტორიტარული, მეორე მხრივ, ძალიან მშვიდი ბუნების ქალი ვახლდით. არ მახსოვს, ჩვენთვის ეყვიროს. ერთს გადმოგვხედავდა და ვხვდებოდით, რაღაც ისე რომ არ იყო. არ მიყვარს საქმის გარჩევა, მით უმეტეს, ხალხში, რაღაც ეტიკეტს ყოველთვის ვიცავ და ბებიაც ასეთი იყო. მიაჩნდა, რომ შეკამათება, ასეთი ფორმით, მიუღებელი და უხერხულია.



- როგორია გაგრაში გატარებული დღეების შთაბეჭდილებები?

- გაგრაში სხვადასხვა ქვეყნებიდან და ქალაქებიდან ჩადიოდნენ ტურისტები, ძალიან კარგი კურორტი იყო და ყველა ჩვენს ლამაზ სახლში ჩერდებოდა. ბებია ახერხებდა, ყოველთვის ლამაზად გაეწყო სუფრა. ახლა, ვატყობ, რომ ამან ჩემშიც გაილვია. მეც მიყვარს, როდესაც ჩემთან მოდიან და ვუმასპინძლდები. შთამომავლობით გადმოგვეცა დიდი, ოვალური მაგიდა, რომელიც მინდა, აქ გადმოვიტანო და ჩემი ქმარიც ეთანხმება ამ აზრს. ისეთი კერძების კეთებით ვერ დავიკვივხნი, როგორსაც ბებია აკეთებდა, სამაგიეროდ, ყველაფერს ლამაზად ვაწყობ და ირგვლივ სიმყუდროვეს ვქმნი. ასე რომ, იქაური ამბები მთელი ცხოვრებაა, იმიტომ, რომ 17 წლამდე ყოველ ზაფხულს გაგრაში ვატარებდი. საერთოდ არ გვინდოდა არც ლიკანი, არც ბორჯომი, არანაირი კურორტი გარდა გაგრისა. იქ საკავშირო მასშტაბით მყავდნენ მეგობრები, ზოგი ბალტიისპირეთიდან იყო, ზოგი - სომხეთიდან, მოსკოვიდან. დეიდაჩემი მუშაობდა სანატორიუმ „საქართველოში“ ადმინისტრატორად, სადაც ყველა ცნობილი საბჭოთა რეჟისორი, მომღერალი იყრიდა თავს. მაგალითად, ნიკიტა მიხალკოვის ცოლი, შვილები, დები, სულ იქ ისვენებდნენ. ეს ყველაფერი ჩემთვის იყო უფასო თეატრი და კინო, საიდანაც ბევრ რაღაცას ვიგებდი.

- დები ხოფერიები რით განსხვავდებით ერთმანეთისგან?

- მარიკა ყველაზე სერიოზული, ჭკვიანი, ცოტა გულჩათხრობილი და ფენომენალური მეხსიერების პატრონია. შეეძლო ერთი ნაკითხვით ყველაფერი დაემახსოვრებინა, მაგრამ ცოტა ზარმაცი იყო. მე, პირიქით, დიდი ნიჭით არ ვიყავი დაჯილდოებული, უბრალოდ, მქონდა სწავლის კოლოსალური ენერჯია. ჩემი ქმარი დამცინის, ეკას სამი წლიდან ახსოვს რაღაცეებიო. მახსოვს, სკოლაში რომ წამიყვანეს, ვთქვი - მორჩა, ჩემი ცხოვრება შეიცვალა, ახლა სულ უნდა ვიმეცადინო-მეთქი. მართლაც, არავინ მაძალებდა, ამდენი მესწავლა, მაგრამ სულ ვსწავლობდი და ეს ძალიან მხიბლავდა. საჯაროდ რომ გამოვსულიყავი და ლექსი ან რაღაც მეთქვა, პრობლემა არ იყო. თეა საერთოდ სხვა ფენომენია, ის ჩემთვის ყოველთვის იქნება ყველაზე მაგარი, ლამაზი და ჭკვიანი. ჩემი აზრით, ძლიერ ადამიანად ჩამოყალიბდა. პატარა რომ იყო და დედა სამსახურში მიდიოდა, გარკვეული დროით ჩვენ ვუვლიდით, დროდადრო მეზობლის ქალი ამოირბენდა და დავგვხედავდა.

ერთხელ ვნახეთ, მეზობლის ქალი იატაკზე როგორ უსმევდა მასტიკას. შევედით სახლში,

ავიღეთ კარაქი, დედაჩემის ახალი ქვედაბოლო და დავინწყეთ იატაკის წმენდა. დედა არასდროს გვეჩხუბებოდა ლარნაკის, თეფშის ან ჭიქის გატეხვაზე. მას ესმოდა, რომ ბავშვი ამას განგებ არ გააკეთებს. მხოლოდ ტყუილზე გვეჩხუბებოდა. მამაჩემის სიმკაცრეზე კი ლეგენდები დადიოდა. გოგოები ჰყავდა და მიაჩნდა, რომ ჩვენ მიმართ ძალიან მკაცრი უნდა ყოფილიყო. მამა იმდენად ლამაზი იყო, სკოლაში პირდაპირ მეუბნებოდნენ, მშობელთა კრებაზე მამა მოვიდესო. სკოლაში რომ შევიდოდა, ნახევარი სკოლა უკან მიჰყვებოდა. ბოლო წლებში ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის დირექტორი იყო. ვიცი, რომ სპეციალურად მიდიოდნენ ვილაცეები მის სანახავად. რაც შეეხება დედას, ლამაზი არა, მაგრამ ძალიან ემზიანი იყო, არაჩვეულებრივი ტან-ფეხი ჰქონდა. მამა ცხრა წლით დიდია დედაზე. საინტერესო წყვილი იყო.

- რაში გამოიხატებოდა მისი თქვენდამი სიმკაცრე?

- მაგალითად, მამასთვის უნდა გვეთხოვა, რომ უფლება მოეცა, ცეკვაზე მევლო. მე და მარიკას „მზიურში“ უნდა გვემღერა, ლიკა გოცირიძე ჩვენი ოჯახისახლობელია და მას უნდოდა ძალიან. მართლა კარგი მონაცემები გვქონდა, მაგრამ არ გაგვიშვა. ერთადერთი, რაზეც გამიშვა, მერე ცოტა რომ წამოვიზარდე - თამარ იმხნელთან ვემზადებოდი. აი, მეცხრამეტე საუკუნის გიტარა მოსწონდა. ჩემთვის სულერთი იყო, ოღონდ რაღაცაზე მევლო და რაღაც მეკეთებინა. ერთი პერიოდი ჩოგბურთზე, კალათბურთზე დავდიოდი და ესეც მოსწონდა. იცოდა, რომ ჯანმრთელობისთვის კარგი იყო. ცეკვას და სიმღერას კი სხვანაირად უყურებდა. ფიქრობდა, ესენი სულ გასტროლებზე ივლიან და სწავლას ჩამორჩებიანო. აბსოლუტურად დედის და მამის გაზრდილები ვართ. მამა დედას, რაც ჩვენს მოვლას ეხებოდა, ყველაფერში ეხმარებოდა - ეს იყო ჩვენი სწავლა-განათლება. როდესაც გაგრიდან ჩამოვდიოდით, ბუნებრივია, ჩვენს მეტყველებაში ბევრ რუსულ სიტყვას აწყდებოდა და ამაზე საოცრებები ემართებოდა - დაინწყეთ ისევ გაუგებარ ენაზე საუბარიო. თვითონ წარმოშობით სოხუმიდან არის და რომ გავიზარდე, მერე შევამჩნიე, რომ არანაირი იქაური აქცენტი არ ჰქონდა. სუფთა ქართული სალიტერატურო ენით ლაპარაკობდა. ამ დროს არანაირი კავშირი არ ჰქონდა ფილოლოგიასთან. მისთვის რაღაც რომ უნდა მომეყოლა, ჯერ კარგად უნდა დამელაგებინა. ცოტა ავტორიტარიზმი იყო ამ ყველაფერში. ჩვენთვის ისინი იყვნენ იდეალები. მაგალითად, დედაჩემი გარეგნობით ისე მომწონდა, სულ ვამბობდი, რომ გავიზრდები, მისნაირი თხელი, ტანადი და ჩაცმული ვიქნები-მეთქი. ძალიან

კარგი გემოვნება ჰქონდა და დღემდე ვფიქრობ, ერთ-ერთი გემოვნებიანი ქალია თბილისში. ჩემზე კარგად გამოიყურება. თავის კლასიკურ სტილს არ ღალატობს. ბევრს არ სჯერა, რომ ამხელა შვილები ჰყავს.

– მამათქვენი უკმაყოფილებას არ გამოხატავდა ოჯახში სამი ქალიშვილის გამო?

– ხშირად იშველიებდა მუხრან მაჭავარიანის ერთ-ერთი ლექსის ბოლო ფრაზებს – კაცი ჯავრით აღარა ვარ, სამი შვილის მამა ვარ და სამივენი ქალები არიანო. თუმცა მერე, რომ გავიზარდეთ, ეამაყებოდა, რომ მისი გოგოები მთებს ატრიალებენ. მეც მინდოდა ძმა, მაგრამ, ალბათ, დედამ ველარ გარისკა, ძალიან დაიღალა.

– თქვენი პირადი ცხოვრებით თუ იყვნენ დაინტერესებულები?

– მამა, თავისი სიმკაცრის მიუხედავად, მისი ქალიშვილი ცხოვრების მეგზურად ვის აირჩევდა, ამ გადანიშნულებას აბსოლუტურად მას ანდობდა. არ მახსოვს, ჩვენს პირად ცხოვრებაში რაიმე ფორმით ჩარეულიყვნენ. მე მათი დახმარება უფრო მჭირდებოდა, იმიტომ, რომ ანანო რომ გაჩნდა, მუშაობა უნდა დამეწყო. ულაპარაკოდ მოკიდეს ხელი ბავშვს, ჩვენ გავზრდით და შენ შენი საქმე გააკეთეო. მაშინ „რუსთავი 2-ში“ მუშაობა იმას ნიშნავდა, რომ საერთოდ არ ეკუთვნოდი საკუთარ თავს. ძალიან ძლიერი შემადგენლობა დამხვდა, ასე იოლად ერთ ფრაზასაც ვერ ვიტყვოდი ეთერში.

– იყო პერიოდი, როცა რადიკალურად განსხვავებული სფერო გიტაცებდა, ვიდრე ჟურნალისტიკაა.


– მერვე კლასში ვიყავი, როცა ნავიკითხე სტატია „სიენენის“ ერთ-ერთ ცნობილ ჟურნალისტ კრისტინ ამაძუურზე, რაღაცამ მომხიბლა ამ ისტორიაში. ამიტომ მეათე კლასიდან უკვე მინდოდა, რომ ჟურნალისტიკაზე ჩამებარებინა, რაზეც მითხრეს – მოდი, ჯერ შენ რამე პროფესია დაიჭირე ხელში, ფილოლოგიურზე ჩააბარე და ჟურნალისტი ისედაც გახდებიო. ჟურნალისტი ხომ ისადაამიანია, რომელიც ცოტ-ცოტა ყველაფერზეა ინფორმირებული. მინდოდა, პოპულარული ვყოფილიყავი, უბრალოდ, მაშინ ვერ ვხვდებოდი, რომ ეს იყო ჟურნალისტიკა. მსახიობობა ნამდვილად არ მდომებია. მერე ჩავაბარე ასპირანტურაში. მითხრეს, კარგი იქნება თუ სადმე ჟურნალ-გაზეთებში დანერო. დედაჩემმა დაურეკა თავის ახლობელს, რომელიც „დრონი“ მუშაობდა. ადამიანი ჟანგბადით გაჟღერებულ სივრცეში რომ მოხვდება, ჩემთვის ყველაფერი ასე იყო. მივხვდი, რომ აქ ბევრი საინტერესო რამ ხდება და შეიძლება ამ ყველაფრის ნაწილი გავხდე, ძალიან მომეწონა. მაშინ იწყებდა თავისუფალი პრესა ჩამოყალიბებას. პარალელურად, მუშაობა



დავინყე სააგენტოში, შემდეგ ლუბა ელიაშვილმა მიმიყვანა „იბერიაში“. მას უნდა ვუმაღლოდე, რომ ტელეჟურნალისტი ვარ. მერე იყო რადიო „ფორტუნა“, სადაც გოგა ხაინდრავამ წამიყვანა. ანანო რომ გაჩნდა, ვთქვი, რომ „რუსთავი 2-ის“ დრო მოვიდა. სახლიდან ქალაქის ტელეფონზე დავურეკე ნიკა ტაბატაძეს, რომელიც იმ დროს „რუსთავი 2-ის“ დირექტორი იყო. ერთ კვირაში დამირეკე, ჩემს ხელმძღვანელებს, კინმარიშვილს და დვალს დაველაპარაკებო, – მითხრა. რაღაც პერიოდის შემდეგ დავრეკე და გიორგი სანაიამ მიპასუხა. გიორგის გაზეთში მუშაობის დროიდან ვიცნობდი. ვკითხე – შინაურულად გამიგე, რა ხდება-მეთქი. მგონი, ჩვენთან იწყებ მუშაობასო. მერე ნიკა დამელაპარაკა და მითხრა, მოდიო. ძალიან ბევრი რაღაც მასწავლეს ნიკამ, ეროსიმ და დვალმა. ძალიან მალე გავხდი ტელევიზიის დამრტყმელი ძალა.

– შენს კარიერაში კიდევ ბევრი დასამახსოვრებელი ფაქტი მოხდა: სანაიას მკვლელობა, ტელევიზიაში უშიშროების შემოსვლა, „ვარდების რევოლუცია“, შენი ტელევიზიიდან წამოსვლა, შემდეგ „იმედის“ ცნობილი მოვლენები. ბოლოს „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, ეს პერიოდებიც გაიხსენე.

– თავსასეთი უბედურება დაგატყდა, შენი კოლეგა მოკლეს. შენ ამაზე რეპორტაჟი უნდა გააკეთო და არა ვინმესთან დაჯდე და იჭორაო. „ვარდების რევოლუცია“ რომ მოხდა, საინფორმაციოს უფროსი ვიყავი და ვამბობდი, საქართველოს უახლოეს ისტორიას ეკრანიდან ვუყურებ-მეთქი, კედელზე უამრავი მონიტორი იყო ჩამოკიდებული. ამ კადრებს ყოველ წუთს ვუყურებდი და ვამბობდი, ორ წამში ეს ყველაფერი მოხდება და დამთავრდება. ისე ვიყავი გადაღლილი, ვფიქრობდი, ნეტავ, ოდესმე თუ დადგება დრო, სახლში ვიჯდე, როგორც ყველა ნორმალური ადამიანი და მეორე მხრიდან ვუყურო-მეთქი. რეკორდი მოვხსენით და ვამბობდი, დარტყმიდან დარტყმამდე ცვხოვრობთ-მეთქი.



**ნათია
გაბისონია**

**ფუნჯით
აქვეყნებულ უდიდეს
ნამუშევრებსა**

მუზეუმის ქალღმერთმა გაბისონიების ოჯახში ოქროს აკვანი დადგა, კოლხური ცისა და მიწის ნაჟურით ჩვილს პირი მოჰბანა და მინევრას მადლით ცხებული გასაზრდელად დედას მიაბარა. გოგონას ნათია დაარქვეს. ბავშვი დღითიდღე იზრდებოდა და მშვენიერებოდა, სამყაროს აღქმა ადრიდანვე დაიწყო, სათამაშოს განსხვავებულ ფერებში ხედავდა, ხელში ფანქრის დაჭერა რომ


შედლო, მისი გავლებული ხაზები ჩვეულებრივს ნამდვილად არ ჰგავდა. დედას მის ნიჭი და სწრაფვა მხედველობიდან არ გამოჰპარვია და პატარა, მეორე კლასელი გოგონა თავის ფერადი ფანქრებითა და სახატავი რვეულით მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის ხატვისა და ფერწერის კაბინეტში მოიყვანა. გოგონა პედაგოგ მარი მაყაშვილის შეგირდი გახდა.

ნათიას შემოქმედებითი წვა მხოლოდ ფუნჯით ხელოვნება როდია. იგი ამავე დროს საუკეთესო მოცეკვავეა. თენგიზ სანაძის სამეჯლისო ცეკვების სტუდიის ნამონაფარია, მაგრამ მისი ძირითადი საქმე მხატვრობა და ფერწერა გახდა.

— „ყველა ნამუშევარი მიყვარს; ნაქარგი იქნება ეს, თუ ზეთში შესრულებული ნახატი, მაგრამ ყველას ხატები მირჩევნია. ღვთისმშობლის ხატს ვთხოვე შემწეობა, როცა იესოს ნამებას ვქარგავდი, ვფიქრობდი, ყოვლისშემძლეა უფალი, მის შუბლზე



ნათია გაბისონიას ერთ-ერთი პერსონალური გამოფენა



შემოხვეული ეკალიც კი ვარდს ამოყრის, მის ლურჯ თვალეში თითქოს მთელი სამყაროა დატეული და მიუხედავად მის მიმართ გამოჩენილი სისასტიკისა, საოცრად ლმოზიერი, მშვიდი და შემწყნარებელია იგი. რა უცნაურია, არა?! უფლის ჯვარცმასზე დიდი წამება ხომ არ არსებობს? ისევე, ალბათ, არც იმასზე დიდი სიყვარული არსებობს, რომელსაც ჯვარცმული იესოს თვალეში ასხივებენ“.

მეორე კლასში იყო ნათია, როდესაც დედამ მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური ხატვისა და ფერწერის კაბინეტში პედაგოგ მარი მაყაშვილთან მიიყვანა. იმავე წელს კაბინეტის წევრების ნამუშევართა გამოფენაზე წარმოდგენილმა მისმა პასტელში შესრულებულმა „ზამთარმა“ საყოველთაო მონონება დაიმსახურა. მას მერე ნიჭიერმა შემოქმედმა გოგონამ არაერთ გამოფენასა თუ კონკურსში მიიღო მონაწილეობა. ამჯერად ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მათგანს ჩამოვთვლით და შევეცდებით ამ ჭრილში მივაღწევნოთ თვალი ნათიას, როგორც ხელოვანის ზრდას.

მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში, სადაც ნორჩმა მხატვარმა, რომ იტყვიან, ფეხი აიდგა, მისი ორი პერსონალური გამოფენა გაიმართა, ნათიას კიდევ ერთი ასეთი გამოფენა სამგორის რაიონის მოსწავლეთა სასახლეში შედგა (ამ გამოფენებმა პატარა ხელოვანს ფართო აღიარება, სიგელები

და დიპლომები მოუტანა); მოგვიანებით ნათიამ საფრანგეთში გამართულ უიულ ვერნისადმი მიძღვნილ ნორჩ მხატვართა კონკურსში მიიღო მონაწილეობა, მისი „შეყვარებულები“ კი იაპონიაშიც გამოიფინა და თურქეთშიც (იქ მოპოვებულმა წარმატებებმა ნათიას მონაგარს ორიგინალური სუვენირები და სიგელები შემატეს); მერე იყო გამარჯვება პოლიტექნიკურ კოლეჯში მიმდინარე კონკურსში თავისუფალ თემაზე, წარმატება პლაკატის გამოფენა-კონკურსზე „ქაიროდან საქართველომდე“; „მზერა მომავლისკენ“ (ამ გამოფენაზე ნათია გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის სიგელით დაჯილდოვდა); „მომავალი ჩვენია“ — ასე ერქვა მხატვართა გაერთიანება „ხელოვანის“, განათლების სფეროს შემოქმედთა ფონდისა და კულტურისა და ტრადიციების დაცვის კავშირის მიერ ორგანიზებულ კონკურსს, რომელშიც ნათიამ ნომინაციაში „კონკურსის აღმოჩენა“ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საპატიო



დიპლომი დაიმსახურა... ამასობაში გოგონა ქარგვამ გაიტაცა, ერთადერთხელ აჩვენა მეზობლის ქალმა, როგორ უნდა გამოეყენებინა ნემსი და ისე სწრაფად აითვისა საკმაოდ რთული ტექნიკა, რომ ყველა გააოცა. სულ მალე ე. ახვლედიანის სახ. გალერეაში ნათიამ ფერწერულ ნამუშევრებთან ერთად ნაქარგებიც წარმოადგინა. პატარა ხელოვანისთვის ეს გამოფენა ერთგვარად საეტაპო

გამოდგა — ერთ-ერთ ფერწერულ ნამუშევარში მან საუკეთესო კომპოზიციისათვის სპეციალური სიგელი დაიმსახურა და რაც უფრო მნიშვნელოვანი და სასიხარულო იყო ნათიასთვის, უწმინდესმა და უნეტარესმა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ძალიან მოიწონა მისი მოქარგული „თამარი“ და „იესო“, შეაქო, უთხრა, შენგან ნამდვილი მხატვარი დადგებაო, დალოცა და სამრევლო სკოლაში ხატწერის ხელოვნების შესწავლა შესთავაზა. ნათიამ ფრთაშესხმულმა შეალო სამრევლო სკოლის კარი და ჩვეული ინტერესითა და ხალისით შეუდგა ლაშა კინწურაშვილის ხელმძღვანელობით ხატწერის ურთულესი ტექნიკის დაუფლებას. დიდი რუდუნებითა და მონდომებით მუშაობდა და მოკლე დროში წარმატებით აითვისა რელიგიური ფერწერის საწყისები, ნათიას პირველმა დამოუკიდებელმა ენკაუსტიკურმა ნამუშევრებმა და მათ შორის „მაცხოვარმა“ მაღალი შეფასება დაიმსახურა.



დები ნათია და მარიამ გაბისონიები

ნათიამ გარდასულ დროთა ხელოვანი ქართველი ქალების კიდევ ერთი ტრადიცია გააცოცხლა და მიძევებით ქარგვა-ქსოვაც ისწავლა. თავისთვის, დედისთვის და თავისი უფროსი დის მარიამისთვის ხომ ათასწიარ სამშვენისს, სამაჯურს, თუჩანთას ქსოვს და ნაქარგებით ამკობს, ჩხორონწყუში ბებია-ბაბუასთან ჩასული იქაურ ნათესავეებს თუ თანატოლ მეზობლებსაც ახარებს თავისი ნახელავით.

ნათიას ხელოვნების გარდა ძალიან უყვარს წიგნი. იგი ყველა სასკოლო საგანს გულმოდგინედ სწავლობდა და მრავალფეროვან სასკოლო, სარაიონო

თუ საქალაქო ღონისძიებებშიც ხალისით მონაწილეობდა. მან კარგი შედეგებით გაიარა თბილისის დემირელის სახ. კოლეჯის და ბათუმის რ. შაჰინის სახ. მეგობრობის ლიცეუმისა და საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების ერთობლივი ტესტირება-ტურნირი, დღეს ნათია სასულიერო სემინარიის სტუდენტია.

ენო რახვიაშვილი

აკაკი ფალავა და მისი ერთადერთი ნუბეში რუსთაველის თეატრის ფუძემდებელი



თეატრმცოდნე დარეჟისორი აკაკი ფალავა წარმოშობით სენაკიდან იყო. 1899 წელს დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია და სწავლა განაგრძო მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის რუსული ენისა და სიტყვიერების განყოფილებაზე, პარალელურად სწავლობდა მოსკოვის სამხატვრო თეატრის სტუდიაში სარეჟისორო განხრით, რომლის დამთავრების შემდეგ მიიღეს სამხატვრო თეატრში რეჟისორის თანაშემწედ. 1913 წელს კ. სტანისლავსკის, ა. ბენუასა და ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკოსთან ერთად მონაწილეობდა მოლერის „ექვით ავადმყოფის“ და „ძალად დაქორწინების“ დადგმაში. მალე სამხატვრო თეატრის კოლეგიის წევრადაც შეიყვანეს.

1915 წელს ა. ფალავა სამშობლოში დაბრუნდა და მუშაობა დაიწყო ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. შემდეგ, რეჟისორულ მოღვაწეობას ეწეოდა ქუთაისის, ბათუმისა და თბილისის თეატრებში, მთელ ენერგიას მისი განვითარების საქმეს ახმარდა.

მართალია, ამ დროისათვის საქართველო განიცდიდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისს, მაგრამ ახალგაზრდა ხელოვანი არ

მატიანე

შეუშინებია სიძნელეებს, 1920 წელს შეაგროვა დაქსაქსული მსახიობები, შეადგინა დასი, სპექტაკლების მოსამზადებლად დაბა სურამში წაიყვანა, იქიდან დაბრუნებულნი ძალით შეიჭრნენ არტიტული საზოგადოების (დღევანდელი რუსთაველის თეატრი) შენობაში და „ტარტოს“ სპექტაკლების პარალელურად შეუდგნენ ქართული წარმოდგენების გამართვას. ასე განაგრძო იმ თეატრმა არსებობა, რომელიც დღეს რუსთაველის სახელით არის ცნობილი. 1922 წელს აკაკი ფალავამ თბილისში საფუძველი ჩაუყარა თეატრალურ სტუდიას, რომელსაც 1924 წელს თეატრალური ინსტიტუტის უფლებები მიენიჭა, ხოლო 1939 წელს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტად გადაკეთდა. ღვანლმოსილი რეჟისორი წლების მანძილზე იყო ამ ინსტიტუტის პრორექტორი და თეატრის ისტორიის კათედრის გამგე სიცოცხლის ბოლომდე. აღსანიშნავია ისიც, რომ ა. ფალავამ 1924 წელს თბილისის კონსერვატორიასთან ჩამოაყალიბა საოპერო

სტუდია და ხელმძღვანელობდა საოპერო კლასს. მასვე ეკუთვნის საქართველოში თეატრალური საზოგადოების დაარსების პრიორიტეტი.

ფასდაუდებელია ა. ფალავას, როგორც რეჟისორის, თეატრმცოდნეობის ღვანლი. მან ჯერ კიდევ 21 წლისამ გამოაქვეყნა ბროშურა „ქართული თეატრი“. საინტერესო ნაშრომმა ქართულ საზოგადოებაში ცხოველი ინტერესი გამოიწვია. ქართული თეატრალური ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეს, 1962 წელს მინიჭა რესპუბლიკის სახალხო არტისტის საპატიო წოდება, დაჯილდოვებული იყო შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით.



დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში. მის გვერდით პანთეონში დასაფლავებულია მისი მეუღლე — ტერეზა ფარნაოზის ასული გრიგალაშვილი, რომელსაც შეყვარებულმა და მონატრებულმა მეუღლემ გრძნობით აღსავსე წერილი მისწერა:

„*ჩემო ნუგეშო, ჩემო იმედო, შენა ხარ ჩემი ურთაქრთი*“
ჩემო ძვირფასო და ურთაქრთო ნუგეშო, მარტოქრთი ვარ, ყველგან შენ მეჩვენები. ბარათსა ვწერ და მგონია, შენ ჩემს ლოგინში წვეხარ, საყაა ადგები, ჩაის ურთაქრთა დაკრუთ. ვიხედები და ლოგინი ცაწივლი, იქნებ ჰიზის დასაბანათ ხარ გასული და უბრა შემიხვარ, არა უსუც ცყყილი, შენ შოწსა ხარ ჩემგან, სხვა ქალაქში, ჯერ კიდევ არ ამდგარხარ ადბათ, ღილის ინცყმრებ სკოლაში, შენ ბავშვი მაინც გყავს თან, მე კი არაა ვინ, თუქნი გონება სულ შენთან არის, შენზე ვთქვილობ დღე და ღამ. გუშინ სკოლო ყზომო იყო ჩემი ცახჯვა, მარტოქრთი ვიცხანჯებოდი ჩემს ოთახში, შენ ჩემს თვალწინ იდრე და ჩემთან არ იყავი. თუაქრში წავუღ და შემიდრე თრანსკიაში ვისადრე, თითქოს შენც ჩემთან იყავი. აჩრდილოთ თან დამრევი, მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენება იყო. რა ვქნა ჩლოგონ ვაძღლო ყშენთ, მუშაობის სკლისიქ არა მაქვს. გუშინ ვზიდან ონი ბარათი მოგწერე, ურთი სამცროდიდან, ურთიქ ბოთყმის სარგყნიდან. ამ წერილს დახოვეულს გიგზავნი, რომ არ დაიქრთოს და დროზე მიიღო. ცერეზა, ჩემო სიციოცხლე, ჩემო ნუგეშო, ჩემო იმედო, შენა ხარ ჩემი ურთაქრთი. შენ გენაცვარე, მაქაყო წარსული წვალება შენი და ამიქრთიდან, მაინც ვიყოთ ბერნიქრნი. გვესმოდეს ურთამანეთის ცერეზა, არ დამოყპო, ჰიზობა არ დაჩლოვი, მე მგონია შენ არ დავიმძიდრება შინ ყოთხა. ოჯახი მანდ არის, ბავშვი მანდ გყავს, გულს ბეჯრ რამეს ვადაყოლებ, მე კი ოთხ ქედვს შუა ვარ, არ ვიცი რა ვქნა. კითხვა არ შემიძლიან, სულ შენზე ვთქვილობ, შენით ვსაყბნობ, არ ვიცი რა ვქნა, ჩლოქრთის ვაძღლებ ასე, იქნებ თავი დაჯანებოთ აქაყრობას და წავიდეთ. სულ წავიდეთ, რომ შენთან ვიყო. თუ ასე ვაგრძელო, მე არ შემიძლიან, იქნებ შენმა ბარათმა მიშველოს, დამამშვიდოს, გული მოყთმენლად მიძგენს, გიგზავნი მარკებს, რომ საძებარი არ ვაგინდეს. ქალადრი ბლომად ვაქვს და კონვერტის ყიდვა არ დავქრთრება. ვედი შენ წერილს მოყთმენლად, იქნებ ცოცხათი დამამშვიდო. შენ იყი, შენ და შენი სიციოცხლე შენ სვლთ არის.

სამარადისოთ შენი აკაკი ფალავა...

თემურ დადიანი

„კიდევ დაზარალებულს შენისთანები ჩვენმა მიწამა!“



„გმირობა, რა სახისაც არ უნდა იყოს, სულის ღონეა და არა ხორცისა...“ — ვკითხულობ დიდი ილიას სიტყვებს და საქართველოს რჩეული გმირების სახეები ამოტივტივდებიან გონებაში, გმირების, რომელთაც შემოგვინახეს სიცოცხლე და მიწა-წყალი, ვაჟკაცობა და ქართველობა. მათი საქმეები ანუგეშებს და აცოცხლებს ერს საუკუნიდან საუკუნემდე.

„...სულის ღონეა და არა ხორცისა...“ — ვიმეორებ და დღევანდელიობას თვალს ვავლებ — თემურ დადიანი... გმირი, რომლის შესახებაც თითქმის მთელ მსოფლიოში იციან, მისი გასაოცარი სიმტკიცე, გაუტყეხლობა, ცხოვრება-გმირობაა. ჩვენი დროის გმირთან საუბარი არც ისე ადვილი აღმოჩნდა. ვუსმენდი, ვუყურებდი ქართველ ვაჟკაცს და გული სიამაყით მეცხებოდა, იგი ჩვენი თანამემამულეა, ჩვენს გვერდით აღზრდილი და კოლხური ნათლით მოსილი. უფრო რთული აღმოჩნდა, მასზე დამეწერა, ალბათ ამიტომაცაა, რომ თვეებია, მასთან ჩანაწერს ვინახავ, რისთვისაც, ამთავითვე ბოდიშს ვუხდი მას.

„საკუთარ თავზე თითქმის არ ვსაუბრობ, ჟურნალისტებს ხშირად უარს ვეუბნები ინტერვიუზე. მაგრამ ჩემი კუთხის ჟურნალს უარს როგორ გეტყვოდით?“

— მითხრა თემურმა და უდიდესი პასუხისმგებლობა ვიგრძენი, უპირველესად მისი, შემდეგ ჩვენი მკითხველის წინაშე.

მზით გაჩირაღდნებულ ორლობებში მონაწილედ ანცი ბიჭი ახსოვთ სუჯუნაში, თუმც, რა იცოდნენ, რომ სოფელი მალე მისით იამაყებდა...

1991 წლის 8 სექტემბერს დაიბადა, სიყვარულისა და სითბოს ბუდე — ასე ვუნოდებ იმ ოჯახს, სადაც იგი გაიზარდა, მოსიყვარულე მშობლების და საუკეთესო ძმის გვერდით ერთგულ, მტკიცე და შეუვალ პიროვნებად ჩამოყალიბდა. სკოლა დაამთავრა



და უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხა. გული ჯარისკაცობისკენ უწევდა, დიდი წინაპრის, ცოტნე დადიანის სეხნია ბიძაც უქებდა ჯარისკაცის ცხოვრებას... მეტი რაღა უნდოდა დაუდგარ ბიჭს?! მშობლებისგან მალულად საბუთები კრწანისის სასწავლო ცენტრში შეიტანა, მალევე გამოიძახეს, ნორმატივებიც ჩააბარებინეს, ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებდა და ჯარისკაცთა რიგებში ჩარიცხეს. მშობლები შეეგუვნენ შვილის ჯარისკაცობას, მის მტკიცე ხასიათს კარგად იცნობდნენ, ცოტა ხანში, სურვილი გაუჩნდა, ქვეყნის ინტერესების დასაცავად ავღანურ მისიაში წასულიყო. იცოდა, რომ საქართველოსთვის ბრძოლის ერთ-ერთი ხაზი ავღანეთზე გადიოდა. როგორც ახალმისულს, უარი უთხრეს, მაგრამ ისიც გაიგო, რომ ნორმატივებში თუ ას ქულას მიიღებდა, შესაძლოა დათანხმდებოდნენ. პირველი პატარა გამარჯვება აქ მოიპოვა—თავდაუზოგავი შრომის შედეგად 300 ქულა მიიღო. სამთვიანი წინასწარი მომზადების შემდეგ, გერმანიაში გადიოდა წრთვებს, იქიდან დაბრუნებული კი 10 დღეში უკვე ავღანეთში იყო.

2011 წლის გაზაფხული იდგა... 18 აპრილი, ამ დღიდან დაიწყო ნამდვილი ჯარისკაცის ცხოვრება.

„ამ ქვეყნად არც რაინდია ისეთი, რომელსაც რისამე წინაშე შიში არ ეგრძნოს ოდესმე...“ — თემურს კი არც სიკვდილისა შეშინებია და უკანდახევაც არასოდეს უფიქრია. ავღანეთში ჩასვლისთანავე წინა ხაზზე აღმოჩნდა, ერთგულად, ვაჟკაცურად ასრულებდა თავის მოვალეობას.

არავინ იცის ბედისწერა ვის კარს შეაღებს, არავინ იცის ვის შეხედავს ავი თვალებით, ერთი საბედისწერო წამი აღმოჩნდა თემურ დადიანის ახალი სიცოცხლის საწყისი... არც დედამ იცოდა, რისთვის იგრძნო გულში ტკივილი იმ დღით...

3 აგვისტო, დილის 11 საათი. ინფორმაცია მიიღეს, საექვო ადგილები უნდა შეემომზებინათ, ოპერაცია მშვიდობიანად დასრულდა, უკან დაბრუნებისას, ბაზამდე სულ რაღაც 200 მეტრიღა

იყო დარჩენილი, ბოლო სახლი უნდა გაეჩხრიკათ... თემური კართან მივიდა და... გამაყრუებელი ხმაც გაისმა, პირდაპირ ნაღმზე აფეთქდა, ორი ჯარისკაცი მსუბუქად დაიჭრა. თემურს ტკივილი არ უგრძნია, არც გონება დაუკარგავს, შიშიც არ გაკარებია. ყოველი წუთი ახსოვს, თავისი ხელით გაიხადა სისხლიანი ფილენტი, საკუთარი თვალით ნახა ქვედა კიდურები როგორ დაუფლეთია ნაღმის ნამსხვრევებს... შემდეგ იყო მოლოდინის 45 წუთი, სწორედ 45 წუთის მანძილზე ებრძოდა სიკვდილს დახმარების მოლოდინში... ცა იყო ნაზი, წმინდა, სიყვარულივით... სამუდამოდ ეს დარჩა მახსოვრობაში.

ავღანეთის სამშვიდობო ბაზაზე პირველადი დახმარება აღმოუჩინეს, იქ მოჰკვეთეს დაჩეხილი კიდურების ნაწილები. შეუძლებელია ადამიანმა იმ ფიზიკურ და სულიერ ტკივილებს გაუძლოს, რაც თემურმა გადაიტანა, თუმც იგი ხომ უპირველასად ვაჟკაცი იყო, ქართული გენისა და ჯიშის. ერთი თვე და ოცი დღე გერმანიაში ლანშტუნის ჰოსპიტალში დაჰყო, დედა შვილის ნახვას ნატრობდა, ალბათ ჯარისკაცსაც ენატრებოდა დამაამებელი ხელი, მაგრამ ერთხელაც არ დაუკვნესია... მტრისა და სიკვდილის ჯიბრზე.

თემური ლანშტუნის ჰოსპიტალში ამერიკელებთან ერთად მკურნალობდა. 28 ოპერაცია გადაიტანა, ამდენჯერვე იდგა სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე, უფლის ნებითა და გამძლეობით თემური გადარჩა და შესძლო ის, რასაც მხოლოდ ღვთისგან რჩეულნი თუ შესწვდებიან. ნელ-ნელა მოძრაობა დაიწყო, იცოდა, მის დახმარებას ვერავინ შესძლებდა, თუ თავადვე არ დაეხმარებოდა საკუთარ თავს. გერმანიის შემდეგ გორის ჰოსპიტალში განაგრძო მკურნალობა.

მშობლიურ სახლში დაბრუნებამ ძალა შეჰმატა, თუმცა მაინც ეგონა, რომ ცხოვრება დასრულდა, მიუხედავად იმისა, რომ მეგობრები ხშირად აკითხავდნენ, ცდილობდნენ არ ეფიქრა ტკივილზე, მაშინ მიხვდა, ვინ აღმოჩნდა გულწრფელი მეგობარი, ვინ დარჩა წარსულში.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გადამწყვეტილებით თემურ დადიანი ამერიკაში, კალიფორნიის შტატში, სამხედრო ბაზაზე, რეაბილიტაციის ცენტრში გაუშვეს. იქ ნახა მასავით კიდურებამპუტირებული ადამიანები, დარწმუნდა, რომ ადამიანის შესაძლებლობები შეუზღუდავია, ნახა, როგორ ვარჯიშობდნენ ბიჭები, იბრძოდნენ და ცდილობდნენ არამხოლოდ გამოჯანმრთელებულიყვნენ, არამედ წარმატებისთვის მიეღწიათ. თემურმაც დაიწყო ვარჯიში, დღეში 8 საათს სპორტულ დარბაზში ატარებდა, პირველად, ლოს-ანჯელესის



ველომარათონში მიიღო მონაწილეობა, სადაც 26 000 ველომბროლეელი იყო ჩართული, ხელის ველოსიპედით 26 კმ, ანუ 46 მილი გაიარა და მეექვსე ადგილი დაიკავა — აქედან იწყება თემურ დადიანის წარმატებების კასკადი. აქ სცადა ფარიკაობაც, რაც გატაცებად კიარა, საკმაოდ სერიოზულ საქმედ იქცა მისთვის. კალიფორნიაში მცირე ჩემპიონატებში მუდამ პირველ ადგილზე გადიოდა, ერთ წელიწადში კარგ სპორტსმენად ჩამოყალიბდა და დიდი წარმატებებსაც მიაღწია. ამერიკაში დაიწყო ვარჯიში აზიდვებში, თავიდან გატაცების დონეზე იყო ყველაფერი, საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ეროვნული თავდაცვის სამხედრო აკადემიის სიმულაციის ცენტრში დაიწყო მუშაობა, იქ, სპორტულ დარბაზში ერთად ვარჯიშობდნენ დაჭრილი ბიჭები... სულ მალე რეკორდების ფედერაციას დაუკავშირდნენ... შემდეგ კი, აი, რას წერდნენ გაზეთები და ინტერნეტგამოცემები მის შესახებ, გადაიციემა ტელევიზიით:

"22 წლის ქართველმა სამხედრო მოსამსახურემ თემურ დადიანმა, რომელმაც ავღანეთში ნაღმზე აფეთქების დროს ორივე ქვედა კიდური დაკარგა, მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მან 38-25 წამში 37 ე.წ. "ამპუტირებული აზიდვა" შეასრულა, რითაც გინესის მიერ დაწესებულ მინიმუმს სამჯერ გადააჭარბა.

სარეკორდო ღონისძიება ნაღმზე აფეთქებიდან ზუსტად სამი წლის შემდეგ, 3 აგვისტოს, თავდაცვის

სამინისტროში გაიმართა. აზიდვების შესრულების დროს თემური მხოლოდ ხელისგულებს ეყრდნობოდა, სხეულის დანარჩენ ნაწილს კი იატაკის პარალელურად ჰორიზონტალურ მდგომარეობაში ინარჩუნებდა. ეს მოძრაობა ტანვარჯიშის ერთ-ერთი ცნობილი ელემენტის — "ფლენჩის" სახესხვაობაა. მსოფლიო მასშტაბით ცნობილია ამ ელემენტის შესრულების რამდენიმე შემთხვევა, თუმცა მსგავსი რეკორდი არასოდეს დამყარებულა.

სარეკორდო ასპარეზობას საქართველოს რეკორდების ფედერაციის წარმომადგენლები აკვირდებოდნენ. მათ ადგილზე დააფიქსირეს მსოფლიო რეკორდის დამყარება და დადიანს ფედერაციის სერთიფიკატი გადასცეს.

"ეს რეკორდი უპრეცედენტო იყო მსოფლიო მასშტაბით, მსგავსი რეკორდი აქამდე არ დამყარებულა. თემომ წარმატებით გადააჭარბა გინესის მსოფლიო რეკორდების მიერ დაწესებულ მინიმუმს... დღეს კი დაამტკიცა, რომ შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს" — განაცხადა ფედერაციის პრეზიდენტმა, დავით ბეგიაშვილმა". მის გამარჯვებას გამოეხმაურნენ: საქართველოს პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, თავდაცვის მინისტრმა კი პირადად მიულოცა რეკორდსმენებს გამარჯვება.

თემურ დადიანი ამჟამად შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობის პროგრამების მეორე კურსელია. სწავლის პარალელურად დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში მსახურობს, აქტიურად ვარჯიშობს და სისტემატიურად მონაწილეობს სპორტის სხვადასხვა სახეობის ტურნირებში. მსოფლიო ოლიმპიადის გახსნის ცერემონიაზე მქირაღდნეც იყო. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის მედლით.

თემურ დადიანი „რიფლის დაუჯერებელი ფაქტების“ კომიქსებში მოხვდა და მისი რეკორდი 2014 წლის ტოპ ათეულში იყო, თემურის მიღწევა "უნიკალური მსოფლიო რეკორდების" ორგანიზაციამ აღიარა.

„სულის სიმტკიცე ის კი არაა, არასდროს დაეცე, საქმე ისაა, დაცემულმა წამოდგომის ძალა იპოვო!“ — თემურმა უფლის ღრმა რწმენით ძალა იპოვა, მართლაც დაუჯერებელი შესძლო და მისაბაძი გახდა მისი სულის სიმტკიცე ყველასთვის.

„ვერასდროს წარმოვიდგენდი დამოუკიდებლად გადაადგილებას თუ შევძლებდი, დღეს კი ცხოვრებას ვაგრძელებ, ვსწავლობ, ვმუშაობ. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს როლი

უდიდესია ჩემს წარმატებაში, უზარმაზარი წვლილი მიუძღვის ჩემი ცხოვრების ამგვარად წარმართვაში, უდიდესი მადლობა მათ.

მყავს არაჩვეულებრივი მშობლები, ძმა, ბებიები ლამარა და სულიკო, უფალს მადლობა ამ ბედნიერებისა და სიმდიდრისათვის.

ავლანეთში ჩემი ქვეყნის ინტერესებს ვიცავდი, სამშობლოსთვის უნდა იბრძოლო იქ, სადაც იმ დროისთვის არის საჭირო, ეს ყველა ქართველმა ჯარისკაცმა კარგად იცის, ავლანეთის მისია ძალზე მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის. გააზრებული მქონდა თავიდანვე, თუ რა შეიძლებოდა იქ მომხდარიყო, მიუხედავად ამისა, უკან არ დავხეულვარ, დღესაც მაქვს სურვილი წავიდე, მაგრამ უარი მითხრეს. მე დღესაც იგივე ნაბიჯს გადავდგამდი...

სმირად ვიმეორებ ფრაზას: „არასოდეს დაიხიო უკან!“ ამიტომაც მოვუწოდებ შშმ პირებს, უფრო აქტიურად ჩაერთონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ბარიერებს ნუ შეუშინდებიან, სწორედ ამ წინააღმდეგობებს აქვთ აზრი.

პრივილეგიით სარგებლობა არ მიყვარს, არ მინდა განსხვავებული ვიყო, ერთხელ, მანქანით

მოძრაობისას დამაჯარიმეს, ეს ჩვეულებრივად მივიღე.

მადლობა უფალს ყველაფრისთვის.

ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი დღე?— ექსკლუზიურად თქვენთვის ყველაზე ბედნიერი დღე, 3 წლის უკან, როცა ასეთ მდგომარეობაში მყოფმა, გავიცანი გოგონა, რომელმაც შემეყვარა, გვერდით დამიდგა და დღესაც ჩემთანაა, ვიტყვოდი, ისიც არანაკლები გმირია თავისი თვისებებით”— მითხრა თემურმა.

მადლობას გიხდით თემურ, ვამაყობთ რომ აბაშელი ხარ, მადლობა ამ სიტბოსა და მეგობრობისთვის.

„ერი თავის გმირებში პოულობს თავის სულსა და გულს, თავის მწვრთნელს, თავის ღონესა და შემძლებლობას...“—რა თქმა უნდა, თემურის მსგავს შვილებშია ერის სიძლიერე, ღონე და მომავალი.

გოგლა ლეონიძეს დავესესხები: „კიდევ დაზარდოს შენისთანები ჩვენმა მიწამა!“

ვერიკო ჯიბლაძე

„აბაშის მაცნეს“ რედაქტორი

ბრონეული

ბრონეული 4-6 მ-ის სიმაღლის ხე ან ბუჩქია – პრიალა, ტყავისებრი, ელიფსური, ლანცეტისმაგვარი ფოთლებით, კაშკაშა წითელი ყვავილებით, მსხვილი, უამრავი გამჭვირვალე თესლით.

ვეგეტაციას თებერვალ მარტიდან იწყებს, ყვავილობს მაისიდან აგვისტოს ბოლომდე. ნაყოფის მომწიფების ფაზა 120-160 დღე გრძელდება. მცენარის მთლიანი სავეგეტაციო პერიოდი 260-280 დღეა.

იტანს გვალვასა და ყინვას. ნაყინვის შემთხვევაშიც კი ფესვები კვლავ ანახლებენ ზრდა—განვითარებას.

ნაყოფმსხმოიარობს პერიოდულად, ერთი ან ორი წლის მონაცვლეობით. მრავლდება თესლითა და ვეგეტარიანულად.

ცდებით გამოვლინდა, რომ უკეთესი შედეგი მიიღება დაკალმებით, ფესვის ამონაყარით. ასეთი მეთოდით მცენარეს ნაყოფმსხმოიარობა 3-4 წლის შემდეგ აღენიშნება. თესლით გამრავლების შემთხვევაში ყვავილობა და შესაბამისად ნაყოფმსხმოიარობა უფრო გვიან იწყება. ძალზე

ეს საინტერესოა



ლამაზია ყვავილობის პერიოდში, განსაკუთრებით — სელექციური, ბუთ-ხუზა ყვავილიანი ჯიშები, რომლებიც მიღებულია ველურად მზარდი საქართველოს ფლორის უიშვიათესი სახეობის — უნიცა გრანატუმ — ისაგან.

ხალხურ მედიცინაში დიდი ხანია იყენებენ ბრონეულის ყვავილს, მარცვალს, ქერქს, ფესვს, წვენს, ზეთს, რუბს, შარბათს და სხვას ყელის ტკივილის, სისხლდენის დროს; მადისმოსაგვრელად; მისი ნაყოფი შეიცავს ვიტამინ C-ს. გამოიყენება ლიმონმყავას მისაღებად. შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებას, რომელსაც ტყავის დასამუშავებლად იყენებენ. მერქნის ნახარში კარგად ღებავს მატყელს, აბრეშუმს, ტყავს; მის ნახარშს სხვა მცენარეებთან ერთად მუცლის ტკივილის დროს, დიზენტერიის წინააღმდეგ და რევმატიზმის სამკურნალოდ ხმარობენ; ფართოდ გამოიყენება მებალეობასა და მეყვავილეობაში.



გივი სისარულიძე

ნოველები

პროფანია სიკათა

ნიუ-იორკის ერთ-ერთ დასახლებაში, საბჭოთა კავშირიდან ემიგრირებულ ბუხარელ ებრაელებთან ერთად, აქა-იქ ქართველი ებრაელებიც ჩასახლებულან. სწორედ ამ რაიონის ერთ-ერთ კლინიკაში, სადაც გონებრივად ჩამორჩენილ პაციენტებსაც უწევენ მომსახურებას, ჩემი მეგობარი ექიმის სანახავად მივედი. მოსაცდელი სხვადასხვა ასაკის დაუნი ბავშვებით იყო სავსე. ცოტა არ იყოს, შევცბი, მაგრამ არ შევიმჩნიე. ბავშვებს თან მომვლელები ახლდნენ. ისინი მათთან ერთად იხდნენ და ექიმთან გამოძახებას მოთმინებით ელოდნენ, ჩემმა მეგობარმა, კაბინეტის ღია კარიდან, გამომძახა:

— ბოდიშს გიხდი, რამდენიმე პაციენტს მივიღებ და მერე მოგხედავო!

დავანყნარე — არსად მეჩქარება, ნუ ლელავ-მეთქი და ჩემ გვერდით მსხდომ ორ ახალგაზრდაზე გადავიტანე ყურადღება. ისინი ავადმყოფი გამომეტყველებით, მაგრამ უცოდველი სახით იხდნენ რიგის მოლოდინში და ერთმანეთს ხელებზე ეფერებოდნენ. უცებ, ერთ-ერთი მათგანი მომვლელისკენ შეტრიალდა და ენით ალოკვა დაუპირა. ქალმა სახე გვერდზე გასწია, ახალგაზრდას თავზე ხელი გადაუსვა და მშვიდად ანიშნა, რომ აღარ გაემეორებინა ეს საქციელი. ბიჭი კვლავ მისკენ მიინეგდა. მომვლელი მის მცდელობას დელიკატურად იცილებდა და გასაოცარი სითბოთი პასუხობდა. პატარა როცა მიხვდა, რომ სანადელს ვერ მიაღწევდა, გვერდით მჯდომ თავისსავე მსგავსს იგივე დაუპირა. ბიჭი აგრესიული აღმოჩნდა და განრისხებულმა სახეზე ხელის გარტყმა დაუპირა. ამ ინციდენტს ორივე ავადმყოფის მომვლელის საოცრად სწრაფი რეაქცია მოჰყვა და ყველაფერმა მშვიდად ჩაიარა.

ჩემდა გასაოცრად, იქ მსხდომმა ავადმყოფმა ბავშვებმა ისეთი ღიმილიანი სახეებითა და სიყვარულით უპასუხეს ბიჭის აგრესიას, რომ მისი გაბრაზება უეცრად ჩაქრა და ჩხუბისთავს სახეზე უცოდველმა ღიმილმა გადაჰკრა. მერე ხელით გადასწვდა გამბრაზებულს და ისე მიეფერა, თითქოს მისი ღვიძლი ნათესავი ყოფილიყო.

დარბაზში სრული იდილია დამყარდა. მომვლელები ერთმანეთში საუბრობდნენ, ხოლო ბავშვები ისეთი მშვიდი სახეებითა და უცოდველი თვალებით შესცქეროდნენ ერთმანეთს, თითქოს ეალერსებიათ.

აი, ვისგან უნდა ვისწავლოთ ნორმალურმა ადამიანებმა მიტყევა და შენდობა. თურმე რა ძალა ჰქონია გარშემომყოფთა თუნდაც უბრალო ღიმილიან შემოხედვას. უცებ ფიქრებით ჩემს ბავშვობაში დავბრუნდი. გამახსენდა მეხუთე კლასელმა დერეფანში თანაკლასელთან როგორ ვიჩხუბე, დავასისხლიანეთ ერთმანეთი და ამ დროს კლასელების „გამამხნეველები“ შეძახილები გვესმოდა: — მიდი ბიჭო, მიდი!.. სკოლის დირექტორი რომ არ გამოჩენილიყო, არ ვიცი, ასე რამდენ ხანს გაგრძელდებოდა. თითქმის ოთხი თვე ერთმანეთს არ ველაპარაკებოდით, თუმცა ვგრძნობდი, რომ ორივეს გვინდოდა შერიგება. კლასელებიდან კი შემრიგებელი არავინ სჩანდა.

შორეული მოგონებიდან ისევ დარბაზში დავბრუნდი და დაუნთა გულუბრყვილო სახეებს ვაკვირდებოდი.

ალერსისათვის განწყობილი ბიჭი ახლა მის ახლო მჯდომ ქალბატონს გადანვდა და ხელზე მოფერება დაუპირა. ქალმა ზიზლით შეხედა ბავშვს და რაღაც ბოლმიანად ჩაილაპარაკა. ხოლო როცა მომვლელმა ქალმა ბავშვი ტაქტიანად დაარიგა, ქალმა განრისხებული სახე მომვლელისაკენ მიაბრუნა და მიაძახა: სიკეთე შენი პროფესიაა და არა ჩემიო.

განცვიფრებული შევცქეროდი ამ უსულო ხორციელ არსებას და ვნატრობდი, რომ სჯობდა ამ ბავშვივით კეთილი ავადმყოფი ვყოფილიყავი და ვიდრე ასეთი ჯანმრთელი.

„ძია სკრიპკა“

თბილისში, ძველ უბანში, ვორონცოვზე, ჩემი ქუჩის ბოლოს, მუსიკოსი ცხოვრობდა, რომელსაც ვიოლინოს ფანატიკური სიყვარულის გამო, მეტსახელად „ძია სკრიპკა“ შეარქვეს. ბებიასთან ერთკვირიანი სტუმრობის შემდეგ უბანში დავბრუნდი. ვხედავ „ძია სკრიპკას“ სადარბაზოსთან ხალხია შეკრებილი. ქუჩის მეორე მხარეს, ჩაცუცქულ ბიჭებს ვკითხე, რა ხდება-მეთქი? — „სკრიპკას“ ასაფლავებენო. „ვა, სანყალი „ძია სკრიპკა“, რა, მოკვდა? — შევიცხადე.

— რა „სკრიპკა ძია“, „ძია სკრიპკა“ თავის „სკრიპკას“ ასაფლავებსო.

— ეგ როგორ მეთქი! — გავიკვირვე!


— როგორ, და ლამაზად. ოთხი დღის წინ ავარიაში მოჰყვა, თვითონ გადარჩა, „სკრიპკა“ კი სულ დაემსხვრა. „სკრიპკის“ დასაფლავება პირველად გავიგე, ხომ არ გააფრინა—მეთქი.

გააფრინა, მა რა!

უცებ, სადარბაზოსთან მდგომი „ჭირისუფლები“ გვერდზე მიდგნენ. პატარა კუბო, გამოჩნდა, რომელშიც შავი „საიზოლაციო ლენტით“ შენეპებული ვიოლინო ჩაესვენებინათ, სადარბაზოდან აჩეჩილი გრძელი თმით, მწუხარე სახითა და მიხაკით ხელში „ძია სკრიპკა“ გამოვიდა, რომელმაც შეკრებილ საზოგადოებას მონინებით დაუკრა თავი. ნელი ნაბიჯით დაძრულ პროცესას წინ გაუძღვნენ მევიოლინეები, მოცარტის „რეკვიემს“ ასრულებდნენ. გაცოცხლებული პროცესიას ავედევნე და თავჩაქინდრულ „პიანისტკა“ ფლორა დეიდას ვკითხე, — სად ასაფლავებენ „სკრიპკას“? — კუკიაზე, შვილო. „ძია სკრიპკას“ დედის გვერდით ყოფილა ადგილი.

ჩავიციინე და უკან გამოვბრუნდი.

ამ ამბიდან, თითქმის ორმოცი წლის შემდეგ, დღევანდელი გაუსაძლისი სიდუხჭირის გამო, როდესაც მე და ჩემისთანებმა საკუთარ მეობას ვულაღატეთ და ღირსება დავმარხეთ, მწარედ მახსენდება ბავშვობაში მასხრად აგებული ვილიონოს დასაფლავება.



მცირე სევდა

სევდიანი წვიმის წვეთი
 ნამავს მაგ შენს თვალებს.
 როგორ შეენის მცირე სევდა
 შეუვარებულ ქალებს.
 სისწრაფი, აღელვება,
 არეული ვნება.
 რაც კი ხდება ჩვენ ორს შორის
 არის ღმერთის ნება.
 ნება-ნება, ვნება-ვნება,
 გააბრუნა არემარე შემოდგომის ფერმა,
 ჩვენს ალერსში დაიბნა და
 გარდიცვალა სევდა.
 მაგრამ, ვიცი გარდიცვლება
 ერთ დღეს სიუვარულიც,
 გაცივდება გრძნობები და
 გაქვავდება გულიც.

აი, მაშინ ღმერთს მივმართავ,
 რომ მიშველოს ეულს,
 გადაუფურცლავ მოგონების
 მივიწეებულ რვეულს.
 მეის ღიმილი მოერევა
 მაცდურსა და გრძნეულს,
 რომ ვერ მნახავს შენს ალერსში
 ჩაწვენილს განსეულს.
 სწორედ მაშინ ჩაერევა
 ჩვენს გრძნობებში ღმერთი,
 ეველა ცოდვის განმკითხავი,
 ქვეყნად ერთადერთი.
 გადმოგვაფრქვევს ნატურის სიდან
 აიაზმის სურნელს
 და მოგვიძღვნის სიუვარულის
 გრძნობას უწვევებს, უძლებს.

სამეგრელო სიყვარულის მზით მოსილი საჯანყა!..



ოქტომბრის ერთ მშვენიერ საღამოს, მშობლიურმა სენაკმა. აკ. ხორავას სახელობის სახელმწიფო თეატრში შემოქმედებითი საღამო მოუწყო ცნობილ პოეტსა და მხატვარს ბიეტა აბშილავას.

ქალ- ბიეტა გახლავთ სახელოვანი ლოტბარის, გამორჩეული ფოლკლორისტი, ბიქტორ აბშილავას ქალიშვილი. ბატონი ბიქტორი საქვეყნოდ ცნობილი მომღერლების: ნოკო ხურციასა, კირილე პაჭკორიასა და რემა შელეგიას გვერდით მღეროდა და საკუთარი ბანით აკვირვებდა მსმენელს. მისი სიმღერები დაცულია საქართველოს ფოლკლორის ოქროს ფონდში.

მშობლების ნიჭი და შემოქმედებითი მუზა და აზარტი გამოყვა ქალ-ნ ბიეტას. იგი ერთნაირი წარმატებით წერს ლექსებს და ქარგავს, ტილოზე გადააქვს ცნობილი საზოგადო მოღვაწეებისა და მწერლების ხელწერა. ეს უნიკალური ნიჭია, რაც მის შემოქმედებით მრავალფეროვნებაზე მიუთითებს.

განუმეორებლობა და გამორჩეულობა, ინდივიდუალიზმი და ორიგინალურობა გემოვნებიან ჰარმონიას ქმნის მასში, რითაც გამოირჩევა პოეტი და მხატვარი- ბიეტა აბშილავა.

მისი პოეზია საკუთარ სივრცეს პოულობს და გადამდები სილალთა და ბუნებრივი სინათლით ატყვევებს მკითხველს. კოლხი ქალბატონი უზომოდ შეყვარებულია სამშობლოზე და ათასი ფერებით ცდილობს გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება. მის გაცისკროვნებულ თვალეში მთელი სამყაროს დანახვა შეიძლება. იგი ვისთვისაც დეიდაა, ვისთვისაც მამიდა, ვისთვისაც უბრალოდ ქალბატონი ბიეტა. გამორჩეულად აღსანიშნავი მისი დამოკიდებულება საკუთარი მშობლიური კუთხისადმი. დღემდე არცერთ პოეტს ამდენი ლექსი არ მიუძღვნია მშობლიური სენაკისადმი. უდიდესი ბედნიერებაა ჩაიძირო ხილვებში, რომელიც სამეგრელოს, კოლხურ საოცრებას ეხება.

„მკერდზე თბილად ჩაჯიხუტე,
გადაგაკონე კილით- კიდე...
სიუვარულით, რომ წამლექე,
გულზე ხატად დაგიკიდე“

ამბობს პოეტი და საკუთარ განცდებს და ნააზრევს უშურველად აფრქვევს. უბეში ზრდის ქართულ ენის სტრიქონებთან ერთად. ოსტატურად აჯერებს მათ და შემდეგ მკითხველის სამსჯავროზე გამოაქვს. ასე რუდუნებით და, პოეზიის

სიყვარულით დაიმკვიდრა მან ადგილი საქართველოს ქალ პოეტთა შორის.

ამბობენ „პოეზია ბედისწერაა, თუ პოეტად ხარ დაბადებული, როგორც გინდა მოინდომო, ლექს ვერ გაექცევი-ადრე თუ გვიანის „აგამღერებსო“. დიახაქც, ბიეტა აბშილავა დიდი ხანია საკუთარი მშვენიერი ლექსების რითმით ამღერებს ქართულ სიტყვას, ამიტომაცაა მისი ლექსები საფუძვლად დაედო 40-მდე სიმღერას და ოთხი ათეული წელია ჟღერს სასიამოვნოდ და ჰარმონიულად.

სინათლითა და ემოციურობით, ლამაზი სევდითა და ოპტიმიზმითაა გაჯერებული არა ერთი მისი ლექსი. მათი სტრიქონები ადამიანური ტკივილითაა დანამული. ანუხებს ერის ბედუკუღმართი წარსული და ქართული სულის ძღვევამოსილი მისტერიითაა აჯანყებული. პოეტი გვამოგზაურებს ადამიანური განცდებისა და ფიქრების სამყაროში.. ლირიკული სტრიქონებით წარმოაჩენს სულში ატეხილ ქარიშხალს და სიყვარულით ათრთოლებული გულის ფეთქვას გადმოსცემს.

„ზედახენი ,ჯვარი, სვეტიცხოველი...“

ასჯერ ვნახე,- ასჯერ გადავირევი.

შენ გეკუთვნის, ეს ყოველი ამქვეყნად,

გულში ბღავი, როგორც ხარი ირემი“

უმთავრესი რითაც პოეტ ბ. აბშილავას პოეზია და მხატვრობა იპყრობს ყურადღებას, ესაა გულწრფელობა. ჩვეული მისეული ხელწერით გამორანდული, ფერისცვალებების ეფექტურად გადმოცემა. სულის ფორიაქამდე დასული, უზადო ცრემნარევი სტრიქონები.

დამქანცველი შემოქმედებითი გზის დიდი ნაწილი გავლილია. ახლა მას ჭეშმარიტად აქვს უფლება უკან მოხედვის და „შემოდგომის ხვავით“ თავი მოიწონოს .უკვე რამდენიმე თაობა წამოენია და ყველს გრძნობით აუბა მხარი. ბევრი მათგანი დაიმეგობრა და ჩუმი ლოცვითა და გამხნევებით წარმატებული წინსვლა უსურვა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ბ. აბშილავს მხატვრობისორიგინალურობა.ნათელმაფანტაზიამ უკარნახა და შემდეგ ხორცი შეასხა შესანიშნავ იდეას , ტილოზე გადაეტანა ცნობილ შემოქმედთა და საზოგადო მოღვაწეთა ხელნაწერთა ნიმუშები. აკაკის, ილიას, გალაქტიონის და ასე შემდეგ, და ისინი საზოგადოებისთვის შეეთავაზებინა . მანამდე ეს არავის უცდია და მისასაღმებელია ამ შრომატევად სამუშაოს ქალ- ნ ბიეტამ სასახელოდ გაართვა თავი . ამჟამად მისი კოლექცია სამასზე



მეტ ნამუშევარს ითვლის.

სად არ მოწყობილა მისი „ნაქარგების“ გამოფენა, საქართველოს ყველა კუთხე მოიარა, რომ არაფერი ვთქვათ თბილისში არაერთგზის დიდი დარბაზებში მნახველთა გაცებისა.

მისმა ნახელავმა კიდევ ერთხელ მოხიბლა მშობლიური რაიონის საზოგადოება. ვიდრე შემოქმედებითი საღამო მოეწყობოდა, თეატრის ფოიეში გამოფენილი მცირე ექსპოზიცია ინტერესით დაათვალიერეს სენაკელებმა. შემდგომ ზეიმმა სცენაზე გადაინაცვლა. სადაც მსახიობებმა ოსტატურად წარმოადგინეს ბიეტა აბშილავას შემოქმედებიდან ლექსები.

„მიწა მეძახის ეგრისის-საუფლო

გული დედისა...“

მოჩნა ზაფხულის მეჯლისი,

სიმღერა მინდა გედისა

გუორღებით... მწარედ დაცინვამ ბედისამ“

ასე ომახიანად ჟღერდა სასიამოვნო სტრიქონები პოეტის შემოქმედებიდან, რასაც ენაცვლებოდა მის ლექსებზე შექმნილი სიმღერები. სცენიდან სასიამოვნოდ იღვრებოდა ადგილობრივი მხატვრული კოლექტივების მიერ შესრულებული ჰანგები.

პოეზიის წინაშე ვალმოხდილ ქალბატონს მიესალმნენ და სცენიდან ითქვა, რომ ქალი პოეტი საკმაოდ გამოცდილი ავტორია. ჩვეული და კარგად გარანდული ხერხებით ანვითარებს სიუჟეტს. საკუთარი ფორმით პოეტური გაღერით და მამაჯერებლად მიჰყავება სტრიქონთა შემკობას. ღრმადმორწმუნე ხელოვანის სულიერებით აგვირისტებს სათქმელს.

პოეტის, მხატვრის თუ კომპოზიტორის უმთავრესი ამოცანაა სულის ხატვა. ბ. აბშილავა ახერხებს სულის ჰარმონიის წარმოჩენა, მიწიერი

ცხოვრებიდან ზეცისაკენ ამაღლებას, რასაც ოსტატურად ართმევს თავს.

სალამო ორგანიზირებული იყო კულტურის ცენტრის მიერ, რომელიც მიჰყავდა ქალ- ნ ლია ღვამბერიას. პოეტსა და მხატვარს მიესალმნენ სენაკის რაიონის კულტურის განყოფილების ხელმძღვანელი , პოეტი ვასილ ბესელია. გაზეთ „ილორის მთავარი რედაქტორი და მწერალი როლანდ ჯალალანია. საზოგადო მოღვაწე, ჟურნალისტი დავით ქობალია. ახალგაზრდა პოეტი ეკა ბაქრაძე. რაიონის ბიბლოთეკის წამყვანი სპეციალისტი ქეთევან ლატარია, კომპოზიტორი რუსუდან ხორავა, მხატვარი შარაბ ხოჭოლავა. ამ წერის ავტორი და საზოგადოების წარმომადგენლები.

შემოქმედებითი სალამო იყო კიდევ ერთი დასტური ღვანლმოსილი ადამიანისადმი დიდი მონივნებისა და დაფასებისა.

ჩემი ნებიერა

„ისევ თამამია, ისევ ამაყია ჩემი ნებიერა.

ჩემი ანგელოზი.

ჩემი საფიცარო, ჩემი საწუსარი არის

დამამშვენნი, მთელი საწუთროსი,

ჩემი სატკივარი, ჩემი საღაღობო,

ჩემი საქართველო, ჩემი ძველი ერი...

ღმერთო!

დაიფარე განსაცდელისაგან- მიეც გამარჯვება

მრავალჯამიერი.“

ჩემო სენაკაო !

მწუსრი თვალზე ხელს მაფარებს.

ფიქრი ჩემი ფარშია ...

დღეს სურვილმა ლამის წარმღვნას

ზმანებების თარშია.

მკერდში თბილად ჩავიხუტე,

გადაკოცნე კიდიო -კიდე

რომ შევიგრძნო შენი ძუძუ,

უნდა ვიყო ღირსეული.

ვინაც სურგი შეგაქციოს, ღვთისგან

იუოს ის წვეული.

სამეგრელო სიუვარულის, მზით

მოსილი სავანეა,

საქართველოს გვირგვინი და

საქართველოს თავანია.“

პორის ღაპითაია -

აკ. წერეთლის სახელობის პრემიის ლაურიატი .

უკვდავი ბედოიის ავსტორი ღაპით ფალავა



ქათამი,
ზღაღობის
დაწუთროსი
მუსიკაა აკაკი
წიქიოსლის
სიტყვისაქცილ-
სურვილმა
ღმერთო.

საფლავის მესაიდუმდე შარიკა

სასაფლაოებზე სევდა დადის და სიჩუმეა... ერთი ახალგაზრდა იქ თავისი ძვირფასი ადამიანის საფლავს აკითხავდა და უეცრად, ერთ-ერთ საფლავთან ძალღიშნა... ის მშვიდად იწვა, თითქოს დროს აჩერებდა... ან სულაც აბრუნებდა, რომ მისთვის ძვირფასი ადამიანიც დაებრუნებინა...



მიყურებს არა იმისთვის, რომ რალაც სასუსნავი გადავუგდო, არამედ (ასეთი შეგრძნება მაქვს) იმისთვის, რომ ვესაუბრო და მომისმინოს.

- კიდევ შეგეჩვიათ ალბათ...

- შეჩვევაზე ვერაფერს მოგახსენებთ... კვირაში ერთხელ ავდივარ. ამ ხნის განმავლობაში ისევე სასტიკ რეალობაში უწევს

მას შემდეგ ოთოს ყოველ მისვლაზე ძაღლისთვის სასუსნავები მიაქვს, ეფერება, ესაუბრება კიდევ...

— მამაჩემი თებერვალში დავკრძალეთ. დაახლოებით ორ კვირაში, ახლოს, ერთი ქალბატონი დაასაფლავეს, სადაც დღეს ის ძაღლი დადის. ყოველი ასვლისას ვხედავდი. გამიჩნდა სურვილი დავახლოვებოდი. დაშინებული იყო. სასაფლაოა, ბევრი ადამიანი დადის და ყველა ერთნაირად არ ექცევა... აღდგომის დღეს ახლოს მივედი, დავუჯექი, ვესაუბრე. თითქოს ესმოდა ჩემი საუბარი, მისმენდა ჭკვიანი თვალებით. მესაფლავებებს ვეკითხებოდი ამ ძაღლის შესახებ. ზუსტი პასუხი ვერავისგან მოვისმინე, არავინ იცოდა, ვისი იყო, საიდან მოვიდა. მერე ერთმა მნახველმა მითხრა, მგონი იმ ქალბატონის ძაღლია, სულ მაგ საფლავთან ვხედავო. ძაღლი რამდენიმეჯერ შევამჩნიე, როგორ იწვა იმ საფლავზე. აი, ასე გადავწყვიტე სურათის გადაღება. დაბეჯითებით ვერ მოგახსენებთ, რომ იქ მართლაც მისი პატრონია დასაფლავებული, მაგრამ დიდი ალბათობით ასე უნდა იყოს. არ ვარ წინააღმდეგი, თუკი ეს ისტორია ამ ცივ სამყაროში ოდნავ სითბოს შემოიტანს და ადამიანებს ცხოვრების ადამიანური წვრილმანების უკეთ გაანალიზებაში დაეხმარება.

- ხომ არ იცით, აკითხავს ვინმე ძაღლს? ვინ აჭმევს? რით არსებობს?

- არავინ პატრონობს. არადა ძალიან კარგი და კონტაქტური ძაღლია. უმეტესობა ეუხეშება, ეშინიათ, აგდებენ... გუშინ მესაფლავებებს ვესაუბრე. მიპასუხეს - აი, ასე წევსო ამ საფლავზე და იქნებ ნაიყვანოს ვინმემო... იგულისხმა, რომ ხელს უშლის მესაფლავებებს... არ აჭმევენ, ცხადია. ძაღლი იქვე ახლოს მდებარე ეკლესიის ეზოში შედის, სადაც კანტიკუნტად შემომსვლელი ათასში ერთხელ გადაუგდებს ლუკმას.

- რომ თქვით კონტაქტურიო, რაზე რეაგირებს?

- მშვიდ საუბარზე არ გაგირბის, გაჩერდება და გიყურებს. მისი სახის პირდაპირ ვჯდები ხოლმე და ასე ვესაუბრები, როცა მარტო ავდივარ. თავს აწევს და

ყოფნა და ბუნებრივია, უნდობლობა და შიში მაინც აქვს.

- და თუ შეიჩვიეთ - ნაიყვანო სახლში?

ალბათ ვერ ნაიყვან...

უკვე გაზრდილი კნუტი მყავს, რომელიც ვერაფრით ეგუება ძაღლებს. მას კი ნამდვილად ვერ შეველევი. თუმცა, დრო გვიჩვენებს, გამორიცხული არაფერია. ჯერჯერობით ვურთიერთობთ მე და ეს ძაღლი და ძალიან აზრიან არსებად მიმაჩნია.

- ახლა რამე სახელს ეძახით?

თავიდან ვეძახდი ცუგას. თავიდან საერთოდ არ რეაგირებდა. ახლა უფრო რეაგირებს. ძაღლები ძალიან ჭკვიანები არიან. ადრე მყავდა ძაღლი "ბარსა". ცოტაც და ლამის მათემატიკურ ამოცანებს ამოხსნიდა. ვერ ვხვდები, რატომ უყურებენ ადამიანები ძაღლებს, როგორც უბრალოდ ცხოველებს... ბევრი ძაღლი ბევრ ადამიანს სჯობს ადამიანი, რომელიც ასეთი ერთგული არსების ტკივილსა და მომავალს შეიგრძნობს, გაუქარვებს დარდს და მას სიცოცხლისკენ მოაბრუნებს - ძალიან ძლიერი უნდა იყოს და ისეთივე განსაკუთრებული, როგორც ეს ძაღლი, რომელიც ვარკეთილის სასაფლაოზე თავის პატრონს ერთგულად ელოდება. ის კონტაქტურია, მოსიყვარულე და საოცრად ერთგული, იმსახურებს ბედნიერებას და ისეთ პატრონს, რომელიც მას უპატრონობას დაავინწყებს.

ხანდახან მხოლოდ გულისტკივილის გამოთქმა არ არის საკმარისი, მითუმეტეს მაშინ, როცა ადამიანებს შეგვიძლია, დავეხმაროთ ამ პატარას გადაიტანოს ტკივილი და დაიწყოს ახალი ბედნიერი ცხოვრება - ჩვენთან ერთად ჩვენს სახლში. ეს უერთგულესი არსება ნამდვილად იმსახურებს ბედნიერებას და დიდხანს სიცოცხლეს იმ პატრონთან ერთად, რომელიც ასევე უერთგულესს და ძალიან შეიყვარებს.

ამ ისტორიას ჯერ დასასრული არ აქვს - მისი კეთილად დასრულება კი ყოველ ჩვენგანს შეუძლია! - „შარიკა“ ახალ მოსიყვარულე პატრონს და თბილ სახლს ელოდება!



აპერიკიან ნაფიქრი

რა რაჯიოჯოჯოთ ამერიკი ხანი,
ილია ჩუენში ვერ გაჯაჯოჯიძეთ...

შოთა ნოზაძე

აბა რა გითხრათ,
როგორ გითხრათ,
ან როგორ
ვწერო...
ამ სიუვარულზე...
და ტკივილზე
ერთად ორივე.
არსებობს სიტუვა
საიდანმე,
რომ გამოვძერწო?!
მხოლოდ დუმილი თუ იქნება
ცაძდე მართალი...
ჩემ სახლის კარებს,
ერთი დრო აქვს კაღების
მუდამ..
ასე მკონია, უოველ დილით,
მაცილებს
დედა..
შენთვის ვიცხოვრებ,
და ვიქნები ვეველზე ჩუმად
ოლონდ ვიცოდე,
ანლოს ვარ და ვეველგანა
მხედავ..

მაწუხებს ახლა,
უოველი დღე შენი ნერვების,
მუხლებზე სისხლებს რომ
მიქრობდი,
ერთი შესებით..
არ ვიცი ასე,
თუ კი სჯერათ ჩემი გეგმების.
შენ გარდა დედი,
გულწრფელი და
დანამდვილებით!
არც არაფერი გამახნია,
შენ გარდა
ვიცი,
ვეველ ღიმილი,
გაგიმრავლო
უხმოდ მინდა!

და როცა გულში,
დამიბიბიან
ბავშვობის წლები,
მაშინვე ვხვდები
რომ დედა არის,
ვეველზე
წმინდა.

წარსულს თაროზე მტკვერი უხდება!

ღამე არ არის, ახლა არც დღეა, ჰერიოდია გული რომ ფეთქავს,
ახლა ის დროა, სისხლი რომ მიდუღს, კონებაც უკვე დაფარულია.
ვიწეებ წარსულით, იმ სანუკვართ, ვერსად რომ ვატყვით, ძარღვებსაც ხეთქავს!
რთულია ეველა სტრიქონი...ხაზი...ეველა წერტილი, ო, რა რთულია!

ჩემი სამშობლო, წელში მოხრილი, მუჭა მიწაზე შემორჩენილი,
ჩემი სამშობლო, მარად ცოცხალი, ჩემი სამშობლო - არდაჩოქილი!
ო, ღმერთო ჩემო, გულზე დარღები ახლა ძარღვებად შემოაკვდება,
როგორც ვაზის ძირს, სიბერით დაღლილს, კანი გულ-მკერდზე შემოასკდება...

ჩვენმა ჰაზებმა ბარეს და თესეს: კაცობა, შრომა და თავდადება.
მაფით მოქარგეს ისტორიები, სისხლი რომ ძარღვში არ გვიდგოდება,
ბევრსაც ეცადნენ, მაგრამ ბოროტი, ღვარძლი მიწაში ვერ გადაძალეს!
შეძლეს ამდენი ჰატრიოტიზმით, ღალატს სინდისი გადააფარეს!

ჩვენ კი ვარჩიეთ თანამედროვეთ, წარსულს თაროზე მტკვერი უხდება.
აკაკი ახლა რომ იყოს, ალბათ, გამზრდელს ხმამაღლა აგრუსუნებდა
და დავიღალეთ ამდენი ხანი, ილია ჩვენში ვერ გავაღვიძეთ...
ქართველნი ახლა ისეთ დღეში ვართ, მამა დავითზე ვაჟას დავეძებთ...

წარსული ვღებთ ცოდვების ფუნჯით, მომავალს მაინც სიევარულს მოვთხოვთ
და ჩვენ ღმერთს შევთხოვთ ისეთი გულით, სადღაც წამოგვცდა მამაო ჩვენო.
სარწმუნოება სიტყვითლა დაგვრჩა, სიკეთეს ახლა სიმდიდრე ჰქვია...
კეთილის ქვეყნად ხორციელმქმნელო, დალოცვილ იყავ, აბელის ძღვენო!

საათი წუთებს აღარ დაგვითვლის, დღეები გადის, როგორც წამები,
გჯეროდეს, სადღაც დადგება ქამი, შენი სიტყვისთვის შენც ეწამები.
გაიგებ მერე გვიან იქნება, წუთებს მოითხოვ წარსული წლიდან.
შენ ქრისტიანი დაგერქვა მამინ, რომ გაგამშრალეს ნაკურთხი წელიდან.

ჩემი სამშობლო, წელში მოხრილი, მუჭა მიწაზე შემორჩენილი,
ჩემი სამშობლო, მარად ცოცხალი, ჩემი სამშობლო - არდაჩოქილი!
ო, ღმერთო ჩემო, გულზე დარღები ახლა ძარღვებად შემოაკვდება,
როგორც ვაზის ძირს, სიბერით დაღლილს, კანი გულმკერდზე შემოასკდება..!

ძველი სენაკის ქრონოლოგიური იერსახე



სოფელი ძველი სენაკი, სამეგრელოს ეს კურთხეული მიწა დიდი ისტორიის მქონე, ერთ-ერთი უძველესი სოფელია საქართველოში. იგი სენაკის რაიონული ცენტრის ჩრდილო-აღმოსავლეთი მდებარეობს. მას ჩრდილოეთით ესაზღვრება სოფელინოქალაქევი, რომელიც ცნობილია უძველესი ქალაქის არქეოპოლისის სახელწოდებით, დასავლეთით - სოფელი ეკი, აღმოსავლეთით - სოფელი გეჯეთი და სამხრეთით - ქალაქი სენაკი და სოფელი ნოსირი.

სოფელი ჩრდილოეთის მხრიდან შემოფარგლულია გორაკ - ბორცვების ზოლით, რომელიც ცნობილია უნაგირას სერისსახელწოდებით. მის ფერდობებზე იზრდება კოლხური ტყისათვის დამახასიათებელი მცენარეულობა: რცხილა, ნიფელი, თელა, კოპიტა, მუხა, ცაცხვი, მურყანი, აკაცია, ნაბლი, ბზა, თხილი და ბროწეული. ტყის განაპირა ზოლში - ასკილი, მაყვალი დაიელი.

ფრინველებიდან გვხვდება: შაშვი, ჩხიკვი, ნინკანა, წივნივა, ბელურა, კოდალა, ბულბული და მწყერი, იშვიათად ოფოფი და ხოხობი. მტაცებელი

ფრინველებიდან: ქორი, ძერა, მიმინო და ყვავი. ჭაობიან ადგილებში გვხვდება ყანჩა. ზამთრობით კიმოფრინავენ იხვები.

ტყის ზონაში მტაცებელი ცხოველებიდან გვხვდება მგელი, ტურა, მელა, მაჩვი და კვერნა. მღრღნელებიდან გავრცელებულია კურდღელი, მინდვრის თაგვი, ვირთაგვა, მემინდვრია, ზღარბი და თხუნელა. მინდვრებსა და ბაღებში - გომბეშო. ჭაობიანადგილებში - ტბის ბაყაყი.

ბუნებრივი სიმდიდრეებიდან აღსანიშნავია კირქვის საბადო.

ვის არ მოხიბლავს და არ მოიყვანს აღტაცებაში სოფლის შუაგულში აღმართული რვაასწლოვანი ჭადარი და მაცხოვრის სახელობის ეკლესია, ან მთიდან გადმომზირალი წმინდა გიორგის ეკლესია და შხეფის ციხე.

ძველი სენაკი და მისი ისტორიული ძეგლები მრავალ ქართველ და უცხოელ მეცნიერთა შრომებშია მოხსენებული. საინტერესოცნობებს გვანვდის ძველი სენაკის შესახებ იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი, რომელიც

ჩემი სოფელი

საქართველოში 1630 წელს ჩამოსულა და 18 წელი სამეგრელოში უცხოვრია. იტალიაში დაბრუნების შემდეგ მან გამოსცა წიგნი, ამ წიგნს დართული აქვს სამეგრელოს რუკაც, სადაც აღნიშნულია ძველი სენაკი ეკლესიით.

საინტერესო ცნობებს გვაძლევს აღნიშნული ეკლესიის შესახებ ნიკო დადიანი თავის წიგნში „ქართველთა ცხოვრება“. იგი წერს „ძველი სენაკის ეკლესია აღაშენა ლეო დადიანმა მანუჩარის ძმან.“ ეს ის ლევან მეორე დადიანია, რომელიც ოდიშის მთავარი გახდა 1611 წელს. ლამბერტი ლევან დადიანის შესახებ წერდა, რომ მან „უთვალავი ოქრო-ვერცხლის ხატი გაკეთებინათვალმარგალიტებით შემკობილი. ერთი წლის განმავლობაში 20-ზე მეტი ოქრომჭედელი ჰყავდა, რომლებიც განუწყვეტილად ამკობდნენ საეკლესიო ნივთებს“...

არქანჯელო ლამბერტის წიგნი „სამეგრელოს აღწერა“ საინტერესოა არა მარტო იმიტომ, რომ უცხოელი მწერალი და მოგზაური ძვირფას ცნობებს გვანვდის 350 წლის წინანდელ ძველ სენაკსა და მის ეკლესიაზე, არამედ იმიტაც, რომ ავტორი გვაძლევს ახსნას ძველი სენაკის წარმოშობის შესახებ. იგი წერს - „ამ ადგილს ადრე ერქვა „სინგამე“ (მდინარე ტეხურის ძველი სახელწოდება).

მდინარე სინგამესა და მის ნაპირზე დასახლებას ამტკიცებს იტალიელი მოგზაური ფლავიუს არიანეც, მის წიგნში - „მოგზაურობაშავი ზღვის გარშემო“, მან მდინარე ტეხურს უწოდა - „სინაგჰი“. ადვილი შესაძლებელია წერს იგი, რომ გამოთქმათასხვადასხვაგვარობის გამო (სინგამე, სინაგჰი) გადაიქცა სენაკად, ადგილმა კი შეინახა ეს სახელი და შემორჩა კიდევ. თუდავეყრდნობით ლამბარტის ცნობებს გამოდის, რომ ძველი სენაკის დასახლება ჯერ კიდევ მე-2 საუკუნეში არსებულა. თავად „სენაკი“ ძველი ქართული ლექსიკონის მიხედვით სალოცავ ადგილს, ბერ-მონაზვნებისათვის განცალკევებულად მდგომ ნაგებობასნიშნავს. სავარაუდოა, რომ ძველი სენაკისთვის სახელის მიკუთვნება გამოიწვია წარსულში აქ არსებულმა სალოცავებმა.

შალვა დადინი ამ უძველეს სოფელს ასე ახასიათებს თავის წიგნში „მოგონებანი“ - „წინათ სენაკი ერთი ყოფილა სამეგრელოში დაეს სენაკი იყო კიდევ ამ არემარეზე. აქ მოდიოდნენ იმერლები, მოჰქონდათ ღვინო. სამაგიეროდ ყიდულობდნენ ხარებს, ძროხებს, ცხენებს და სხვა. მოდიოდნენ

ბერძნებიც და იძენდნენ აბრეშუმს, სიმინდს, თხილს და ა. შ., ერთი სიტყვით, აქ დიდადგაცხოველებული ალებ-მიცემობა იყო გაჩაღებული. ჩემს დროს მას ძველი სენაკი ერქვა და დღესაც ასე ქვია.“

ამ ისტორიულ სოფელში ყოველწლიურად იმართებოდა დიდი ბაზრობა („იარმარკობა“). აქ საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოდიოდნენ. ვის არ ნახავდით აქ: თათრებს, ბერძნებს, ებრაელებს. მათ ჩამოჰქონდათ ოქროს და ვერცხლის ნივთები, ძვირფასი თვლები, ხალიჩები და სხვა.

დღევანდელი სტადიონის ადგილზე, რომელსაც ძველად „ოხოჯე“ ერქვა, უზარმაზარი ცაცხვის ძირში იმართებოდა ცეკვა-თამაში, სადაც თავს იყრიდა ახალგაზრდობა. იყო შეხვედრები გასათხოვარი



ქალიშვილებისა და საცოლე ვაჟუცებისა, ხშირად აქ ეყრებოდა საძირკველი მომავალ ოჯახებს. ზეიმს აგვირგვინებდა ქართული ჭიდაობა. ხალხის ტევა არ იყო საჭიდაო მოედანზე, „ბულვარში“, - ასე ეძახდნენ დღევანდელი კულტურის სახლის ეზოს. მოჭიდავეთაგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა ნესტორესებუა, რომელსაც ბადალი არ ჰყავდა არამარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. როგორც გადმოცემით ვიცით, ისყოფილა მაღალი, ბეჭგანიერი, წელწვრილი, სიტყვა-ძვირი, თავმდაბალი. მისი გამოჩენა აღფრთოვანებას იწვევდა ხალხში. ნესტორი თურმე ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ მისი ბეჭი მიწას არ გაკარებია. ის ფალავანთა-ფალავანი იყო და ასე დარჩენილა ბოლომდე.

1874 წელს აკაკი წერეთლის შუამდგომლობით და ძველ სენაკელთა მონდომებით გაიხსნა ერთკლასიანი სათავადაზნაურო სკოლა. სწავლების პირველ წელს ძველი სენაკის სკოლაში 21 მოსწავლე ირიცხებოდა.

1884 წლის 25 ოქტომბერს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ქართული სკოლა. მის კურთხევაზე სიტყვა

ძვერი სენაკი, სოფერი ხომერმაც ხყთი აკაქემი კოსი აჩყქა ქვეყანას



ნარმოუთქვამს წერა-კითხვისგამავრცელებელი საზოგადოების სახელით აკაკი წერეთელს. სკოლას არაერთხელ სწვევია პედაგოგ-განმანათლებელი იაკობგოგებაშვილი. ამ სკოლის პირველი ბრძენი ხელმძღვანელი ყოფილა სამსონ ყიფიანი, შემდეგ არსენ ნითლიძე...

სკოლამ დიდი როლი შეასრულა მრავალი თაობის აღზრდის საქმეში. სწორედ აქ ეზიარნენ ცოდნას და შემდეგ დიდ გზაზე გავიდნენ საქვეყნოდ ცნობილი აკადემიკოსები: კონსტანტინე გამსახურდია, არნოლდ ჩიქობავა, სიმონ ჯანაშია, პეტრე ქავთარაძე, ვარლამ თოფურია. საქართველოში იშვიათია სკოლა, რომელიც ხუთი აკადემიკოსის აღმზრდელი იყო.

საუკუნის 80-იანი წლებიდან ხალხის მისწრაფება თვითგანათლებისაკენ იზრდებოდა. იქმნებოდა კერძო სკოლები, ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, სადაც მოსახლეობას შეეძლო წიგნების კითხვა და თვითგანათლების მიღება. განსაკუთრებით აღსანიშნავია „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობის მიერ შედგენილი წესდება სკოლებთან ბიბლიოთეკის შექმნის შესახებ. საინტერესოა ძველი სენაკის სახალხო ბიბლიოთეკის ისტორია.

1896 წელს აქაურ მოსახლეობას მოუგროვებია საკმაო წიგნები. აზნაურ გრიგოლ და აღმასხან

ჩაჩავებს უკისრიათ უფასოსამკითხველოს გახსნა. სამკითხველოს გახსნის ინიციატორი ყოფილა გრიგოლ ჩაჩავას ძმა ვლადიმერ ჩაჩავა, რომელსაც სამკითხველოსთვის საჩუქრად გადაუცია 500-ზე მეტი ქართული და რუსული წიგნი. ასე ჩაეყარა საფუძველი უფასო სახალხოსამკითხველოს გახსნას ძველ სენაკში. 1910 წელს ძველ სენაკში იაკობგოგებაშვილის დახმარებით გახსნილა ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკას თურმე ვაჭარმა ალექსანდრე ჩიქობავამ ერთი ოთახი დაუთმო. მის გამგედ დიდად განათლებული ქალბატონი აგრაფინა კუჭავა მოუწვევიათ, რომელსაც დიდი წვლილი შეიტანა ბიბლიოთეკის ფონდის ზრდაში. ამ პერიოდში საბიბლიოთეკოსაბჭოს ხელმძღვანელობდა პედაგოგი დომენტი ოყრემიძე.

მეჩვიდმეტე საუკუნის დასასრულსა და მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში სოფელ ძველი სენაკის ცენტრში მხეიძეებისა და დადიანების მიერ აგებული იქნა მაცხოვრის სახელობის ბაზილიკა. ეკლესიისთვის მეთვრამეტე საუკუნის 50-იან წლებში დაუშენებიათ გუმბათი. ეკლესიაში დეკანოზ ფარნავაზის დროს წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე მიმდინარეობდა, საგალობელიც ქართული იყო. „ეგზარქოსმა“ ინება თურმე მობრძანება ეკლესიაში, რათა „ძაღლების ენაზე“ (ამ დროს ქართულ ენას ძაღლების ენასეძახოდნენ) აეკრძალათ ლოცვა-

ჩემი სოფელი

გალობა, მაგრამ ეკლესიის მსახურთ ნირი არ შეეცვალათ თურმე და გაუგრძელებიათ ნირვა და აუფუგუნებიათ ქართული საეკლესიო საგალობელი. ეს ყველაფერი ისეთი სიყვარულით და სილამაზით შესრულებულა თურმე, მოსულნი იძულებულნი გამხდარან ქედი მოეხარათ ამ დიდებული საგალობლის, ერის და ბერის წინაშე და უმაღვე უკანგაბრულებულან.

ძველი სენაკის ეკლესიას ბევრი დიდებული სწირავდა შესანიშნავი. მათ შორის ყველაზე ცნობილია, სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი - დავით დადიანი და მისი ულამაზესი მეუღლე - ეკატერინე ჭავჭავაძე. ეკატერინეს თითიდან საკუთარი სურვილით მოუძვრია ლალის თვლიანი, აღმასებით მოჭედილი ბეჭედი და შეუწირავს ეკლესიისათვის, რომელიც როგორც ძვირფასი განძეული, დიდხანს ინახებოდა ეკლესიის განძთსაცავში, ძვირფას ნივთებთან ერთად.

დეკანოზი ფარნავაზი და მისი შვილი მღვდელი ბაძუ (გიორგი) მხარში ედგნენ დაჩაგრულ ხალხს, სოფელში რევოლუციის პერიოდში რევოლუციონერებს მალავდნენ. სწორედ ამიტომ 1906 წლის იანვრის თვეში ალიხანოვ-ავარსკის, დეკანოზ ფარნავაზ-ქავთარაძისათვის სახლ-კარი გადაუნვათ. ბაძუ ქავთარაძე გარდაიცვალა 1964 წლის დეკემბერში. დასაფლავებულია მაცხოვრის ეკლესიის გარეთ, აღმოსავლეთ კარებთან ახლოს.

რევოლუციის შემდეგ, ეკლესიაზე ზრუნვა შეჩერდა. თანდათან ნადგურდებოდა ეს ქრისტიანული სარწმუნოების უნიკალური ტაძარი. XX საუკუნის 60-70-იან წლებში ეკლესია განადგურების პირას იყო მისული. გუმბათზე ხეები ამოსულა, განმკითხავიარავინ ყოფილა. მზრუნველად გამოჩენილა ძველი სენაკის მკვიდრი ნინა გეგენავა. მისი დიდი ბრძოლის შედეგად საქართველოს ძველთა დაცვის კომიტეტს ეკლესიის გუმბათი გაუნმენდია და გადაუხურავს. შემდგომში მაცხოვრის ეკლესიის რესტავრაციაზე დამის კეთილმოწყობაზე უზრუნვია ძველი სენაკის მკვიდრს, მხატვარს, სოფლის საამაყო შვილს, ემელიანე ადამიას.

დღეს ეკლესია ფუნქციონირებს. მიმდინარეობს ნირვა-ლოცვა. ძველებურად გაისმის ქართული საეკლესიო გალობანი. მიმდინარეობს ნათლობა, საქორწინო რიტუალები, ყოველ შაბათს მიმდინარეობს მიცვალებულთა მოხსენიება



(პანაშვიდი) და ა. შ.

ძველ სენაკში, საგიგბერიოს უბნიდან მოჩანს ეკლესიის ნანგრევები. ეს ეკლესია ატარებს წმინდა გიორგის სახელს. ამ ეკლესიის შესახებ ხალხში ძალიან მწირი მონაცემები მოიპოვება. ხალხში შემორჩა ის, რომ ტაძარი აგებული ყოფილა მეთორმეტე საუკუნეში ქვეთიკირისაგან. ფუნქციონირებდა მეცხრამეტე საუკუნის ბოლომდე. მისი უკანასკნელი მღვდელი ყოფილა მათე კალანდარიშვილი. საბჭოთა პერიოდში ტაძარი გაუპარტახებიათ.

საბჭოთა ხელისუფლების ნგრევის შემდეგ საქართველო გამოაცხადდა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკა. შეიცვალა საზოგადოებრივი წყობა, შეიცვალა ხელმძღვანელობა.

თავისუფლებისათვის ბრძოლას მოყვა მსხვერპლი. ისტორიაში 1989 წლის 9 აპრილი ჩაინერა მეტად მძიმე, ტრაგიკულ დღედ. დაიწყო სამოქალაქო ომი, აფხაზეთის კონფლიქტი. ყოველივე ამან უარყოფითი გავლენა მოახდინა ჩემი სოფლის ეკონომიკაზე, სულიერ სფეროზე. თანდათანობით გაიძარცვა სოფელი. თითქმის ყველაფერმა დაჰკარგა შნო, იერი, ლაზათი. ბევრმა საწარმომ, მეურნეობამ, საყოფაცხოვრებო ობიექტმა შეწყვიტა ფუნქციონირება. დაიწყო ე. წ. „უშუქობის პერიოდი“... დრო მკურნალია ყოველგვარი მწუხარების, ხალხმა იცის, რომ მოთმინება ყველაზე დიდი განძია.

ბაიუში დიდ ორბოში ჩვენი ჩახოსილი, ნანაგები გეოგრაფი აყარნენ – არჩილ ხოფერიანი

ძმების ჯამგულ და არჩილ ხოფერიანის სიამაგადაც დღესაც ლეგანდები დიდის. სამწუხაროდ, მათი თავდადება ფართო საზოგადოებისათვის შედარებით უცნობია. არადა, ძველანა უნდა იცნობდეს თავის ერთგულ შვილებს. ისინი გაბრისა და ოჩამჩირის ყველაზე მძიმე ბრძოლებში მოიხარბე რაზმს მეთაურობდნენ.

ყველაფერი კი ასე დაიწყო:

1993 წლის ივლისში, როცა აფხზებმა დაიწყეს სოხუმზე შემოტევა, ოჩამჩირეში „მხედრონიდან“ სულ რამდენიმე კაცი იყო დარჩენილი, რადგან ხელშეკრულებით ჩვენი ძალები გამოყვანილი იყო. ამავე დროს რუსებმა და აფხზებმა ტამიში გამოსხეს დესანტი და დაახლოებით რვაასმა კაცმა მთლიანად ალყაში მოაქცია სოხუმი ოჩამჩირის მხრიდან. ამის დაშვება ყოვლად წარმოუდგენელი იყო და სასწრაფოდ იყო გასახსნელი ტამიშის მონაკვეთი. ამ ადგილზე დისლოცირებული ჩვენი ბატალიონები „ავაზა“, „ჩოლოყაშვილი“, „შინაგანი ჯარი“, დუშეთის ბატალიონი ღამით მოულოდნელი თავდასხმის გამო ძალიან დაზარალდნენ და ფაქტიურად ამოხოცეს.

კბილებამდე შეიარაღებულ განვრთნილ სპეცნაზს ეკავა ტამიშის მისადგომები. მტერმა შეტევა კარგად განავითარა და გზაზე ყველაფერი გაანადგურა და შეუტია ლაბრას. ენითაუნერელი სისასტიკით ხოცავდნენ შემხვედრებს ადგილობრივ მოსახლეობას თუ მეზობლებს. შემდეგ განათავისუფლებისას ჩემი საკუთარი თვალთ ვნახე სასტიკად ნანამები და დასახიჩრებული ცხედრები, მათ შორის ქალებიც, რომლებიც ტრასაზე შიშვლები ეყარნენ და საკუთარ სისხლში ცურავდნენ. ჩვენი ბიჭები ჩაეყარათ ერთ დიდ ორმოში. ერთი პატარა გოგო ენამებინათ და ჯვარზე გაეკრათ. საიდან ქონდათ ასეთი ყოვლადწარმოუდგენელი სისასტიკე და დაუნდობლობა ჩემთვის დღემდე გაურკვეველია.

ვითარების გამწვავებასთან დაკავშირებით გულმა არ მოგვითმინა და გადავედით ოჩამჩირეში ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად. პირველ დღეებში მიდიოდა გაცვლითი სროლები. ისინი შეტევაზე არ გადმოდიოდნენ. მათი მთავარი მიზანი იყო პოზიციების შენარჩუნება და სოხუმის ალყაში მოქცევა, რადგან იქ ქალაქზე შეტევა წარმატებით დაემთავრებინათ და შემდეგ მთელი ძალით წამოვიდოდნენ ოჩამჩირეზე. ეს გეგმა მათ მოგვიანებით ოთხ თვეში თავიანთთვის, ჩვენდა საუბედუროდ, წარმატებით დაავიწყდინეს.



მანამდე კი მტერი მკვიდრად ჩაჯდა ტამიშის ტრასაზე და სანგრებში „მაიშუნთსაშენთან“. ჩასვლიდან მეორე დღეს ჩვენებმა დაიწყეს შეტევა. ჩვენს რაზმს დაევალა კოჩარის გზიდან შემოსული ფლანგის დაცვა, რომ მტერი აქედან არ დაგვსხმოდა თავს.

ოჩამჩირეში მაშინვე ჩამოვიდა „მხედრონის“ მთელი შემადგენლობა და გადაწყდა გზის განმენდა. დღის მეორე ნახევარში მივიღეთ ბძანება გადაესულიყავით და მიგველო მონაწილეობა შეტევაში. პირველი დღეს თითქმის უშედეგო გამოდგა, რადგან კოორდინაცია გვაკლდა, მიუხედავად იმისა, რომ მივუახლოვდით მონინაალმდეგეს გარღვევა არ მოხდა.

მეორე დღისთვის დილით შვიდი საათისათვის დაიგეგმა მომდევნო შეტევა. გიგა გელაშვილმა ამისხნა, რომ ლანჩხუთელები ნავიდოდით ბრძოლაში მეორე ეშელონად. ბრძოლა ნავიდა და თანდათან დაახლოებით რვა საათისათვის პირველ ეშელონს წამოვენიეთ.

ამ შეტევას ახორციელებდა „მხედრონის“ ყველაზე შემტევი მოიერიშე ძალა – ბორჯომის „მხედრონის“ ბიჭები, „გლდანის საძმო“, „ვაჩეს ჯგუფის“ ძველი წევრები, თბილისის „მხედრონი“, ქუთაისელები, ლანჩხუთიდან ვიყავით ორმოც კაცამდე, ასურთის „მხედრონი“ ბესო მურუსიძის ჯგუფი და სხვები, რომელთა გვარებს, სამწუხაროდ, ყველას ვერ დავასახელებ.

მახსოვს ქუთაისელ ბიჭებს ათ კაცს იარაღი

საერთოდ არ ჰქონდათ, შიშველი ხელებით ნამოვიდნენ შეტევაზე, ჩვენს გვერდით იდგნენ, ვინმე თუ დაეცემოდა მათი იარაღით რომ გაეგრძელებინათ ბრძოლა. აი, სად არის კაცობა და გმირობა!

საშინელი მჭიდრო, ხანჯლური ცეცხლი გახსნეს ბოლო გადარბენაზე, როცა სანგრამდე დარჩენილი იყო დაახლოებით სამოცი მეტრი მომიკლეს ჩემი ბიჭები მერაბ კუპრეიშვილი და ზალიკო მდინარაძე. ამან ძალიან გაგვამწარა და გული გვატკინა.

ზალიკო პატარა ბიჭი იყო ვერ ისვენებდა სახლში. წინა დღეს მოვიდა ჩემთან ხუთ ბიჭთან ერთად და სურვილი გამოთქვა ჩვენთან ერთად ებრძოლა. იყვნენ უიარაღოდ. ერთ-ერთ მათგანს დიმიტრის მივეცი ავტომატი და ზაალს კი ავუსხენი, რომ შეტევის მერე თუ რამეს ვიშოვნინდი აუცილებლად მივცემდი იარაღს და სხვა ბრძოლაში ნავიყენადი.

მე მას გავუფრთხილდი და მოვარიდე ბრძოლას. დილას როდესაც შტაბში მივედი ორი უფარგისი რაცია დაგვხვდა და გადავწყვიტეთ შეტევაზე კავშირის გარეშე წასვლა და ჩვენი გასვლიდან ათ წუთში მოუტანიათ სრულიად ახალი რაციები. ჯაბა იოსელიანს უთქვამს – „ვინ არის მოხალისე, ვინ წაიღებსო რაციას ბიჭებთანო?“ და ზალიკოს გამოუთქვამს სურვილი. შემომიერთდა ბოლო წუთებში უიარაღო პატარა ვაჟკაცი ბიჭი და ზურგში ჩავიყენე, რომ არაფერი მოსვლოდა. საუბედუროდ, მტრის ტყვია ვერ აცდა. ზალიკოს მოტანილმა რაციამ შემდეგ დიდი როლი შეასრულა მამულის გამოძახებაში და კოორდინაციაში. ასევე მოცელა ტყვიამ ჩემი მეგობარი მერაბ კუპრეიშვილი. ნათელი დაადგეთ ორივეს.

ტამიშის დესანტის განლაგებაში, ე. ი. მაიმუნთსაშენის ადგილმდებარეობას კარგად ვიცნობდი. და ვიცოდი, რომ შეიძლებოდა მათთვის დაგვერტყა ზურგში. ამის შესახებ საღამოს შტაბში გვქონდა საუბარი და ვამბობდი, რომ ავიღებდი ჩემს თავზე ამ შემოვლითი მანევრის წარმატებით განხორციელებას. მაგრამ პასუხად მივიღე, რომ ჩვენ დაცვას უზრუნველყოფდნენ გვარდიის „ავაზას“ მეომრები ლაბრის გზიდან. ამის გაკეთება თავის თავზე აიღო გოგია „პულიმიოტრიკმა“, მაგრამ საუბედუროდ, ეს დავალება არ შეასრულა და თავი აარიდა. რაციაზე კი გადასცემდა ლაბრის გზა თავისუფალიაო, როცა ადგილიდან არც კი დაძრულა. ჩვენც დაიმედებულები უფრო წინ წავედით და მონინალმდეგემ ძლიერი ცეცხლი გგვისხნა. ამისთანა დანაშაულებრივ ქმედებას მოყვა ძვირფასი დროის დაკარგვა და ბიჭების დაღუპვა და დაჭრა. როცა ყველა მიხვდა, რაღაც ვერ იყო საქმე კარგად ბატონი ჯაბა და თორნიკე ქურდაძე გადავიდნენ იმ პერიმეტრზე და დაინახეს ფქტიური მდგომარეობა. ჩვენ მიუხედავად დანაკარგებისა და ცეცხლისა იძულებული გავხდით პირდაპირ შეგვეტია და ყიჟინით შეტევაზე მაინც

გადავედით და მონინალმდეგე განვდევნეთ.

7-8 საათი ჩანოლილები ვიყავით და ვისროდით. ძალები აშკარად არ გვყოფნიდა. რიგები შეთხელდა ბიჭები დაიჭრნენ და დაიღუპნენ გაყავდათ როგორც. აშკარა იყო ხალხის რომ დამატება გვჭირდებოდა „პიტომნიკზე“ გვერდიდან მოსავლელად. ტრასა იყო მთლიანად მოშიშვლებული. რაციაზე დავუკავშირდი და მამაჩემს ველაპარაკებოდი გამოეშვა დამატებითი ძალა, რომელიც ცაგერაში იდგა. ვითხოვდი დახმარებას ტანკები მჭირდებოდა და აფხაზების ხაზის გასარღვევად ტექნიკას მივყებოდით, რომ ნაკლები მსხვერპლი ყოფილიყო.

დაახლოებით 3-4 საათზე გვიპასუხეს, რომ მოდიოდა ტექნიკა და ორმა ტანკმა და ბემემ გამჭრეს აფხაზთა ხაზი და ყუჟინით შევიჭრით კიდევ მონინალმდეგის განლაგებაში.

უკანასკნელი ოც მეტრი გასარბენი „პიტომნიკამდე“ საშენელი სროლები იყო და როგორც იქნა მონინალმდეგემ ვერ გაუძლო ჩვენს დანოლას და ამოვიდა სანგრებიდან და უკან დაიხია.

მახსოვს პირველი აფხაზთა სანგარში გადახტა „გლდანის საძმოს“ წვერი ლევან ილინი და მიყვნენ და მიყვნენ ბიჭები. გზა გაინმინდა. მონინალმდეგემ სერიოზული ზარალი ნახა.

საერთოდ, ომის დროს ბევრი უსიამოვნებებიც ხდებოდა, წინა დღეს დარიგდა იარაღი და ჩვენ არ შეგვხვდა. ამაზე დავა მომიხდა, მაგრამ ამოდ და შეტევის დროს კი ჩვენს უკან იდგა 1000 კაცამდე და არც კი ნამოგვყვნენ. ასეც ხდებოდა.

ბრძოლისას ბიჭებს ვამხნევებდი, გულს ვუკეთებდი – „აბა ბიჭებო, აბა წავედით, წავედით, ახლა ჩვენები ქვევიდან შემოუვლიან და ნაპირიდან დააყრიან მეთქი“, მაგრამ სინამდვილეში გულში არავის დახმარების იმედი არ მქონდა.

საქმე იმაში იყო, რომ წინა დღეს შემოგვიერთდნენ ზვიად გამსახურდიას მომხრეები და მათ რეაქტიული იარაღი „ფტურსიც“ კი გავატანე, მაგრამ ძირითადი დარტყმა მიიღო მაინც „მხედრიონმა“. ტამიში ნამდვილად ჩვენი ბიჭების თავდადებას გახსნა.

რუსების სპეცნაზილებზე გამარჯვება იყო ჩვენი შესაძლებლობების, მხედრული სულის და კაცური გატანის შესანიშნავი დემონსტრირება. კბილებამდე შეირალებული მტრის ნაწილი განადგურდა და დანარჩენმა ნაწილმა კი მიატოვა პოზიციები და ჩრდილოეთით გადაინაცვლა. ოჩამჩირე-სოხუმის გზას კვლავ „მხედრიონი“ იცავდა და აკონტროლებდა.

ყველაზე ძალიან მენანებთან ჩვენი ვაჟკაცი ბიჭები, რომლებიც ამ ოპერაციას შეენიშნენ, ღმერთმა ნათელში ამყოფოთ. ჩვენს თავებს დღესაც სამშობლოს მეზარბაზნეებს ვუნოდებთ. დრო მოვა და ჩვენ ერთად ვიქნებით.



სოფლისა და სავაჭრო ურთიერთობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით

საქართველოს თბილის მწარმოებელთა ასოციაციის თანადა-
მფინანსებელი და კონსულტანტი მარსელო დლეს, 19 ნოემბერს,
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელს ედიშერ თოლორაიას შეხვდა.
ასოციაციის არგენტინელი წარმომადგენლის ინფორმაციით,
მათი მიზანია მუნიციპალიტეტის გამგეობასა და მის ტერიტორიულ
ერთეულში არსებულ ფერმერულ მეურნეობას შორის შედგეს
ურთიერთთანამშრომლობა. ბატონი მარსელის განმარტებით, ისინი
თბილის მწარმოებელსა და ფერმერებს ასწავლიან თბილის გულის
ხარისხიან წარმოებას.



„ჩვენ ორიენტირებულები ვართ ხარისხზე და ვიზრუნებთ, რომ
ევროპის ბაზარს საქართველოდან ხარისხიანი თხილი მიეწოდოს“. – განაცხადა მარსელომ გამგებელთან
შეხვედრაზე.

თბილის წარმოებაში ჩართულ მენარმეთათვის მუნიციპალიტეტში ტრენინგ-სემინარები გაიმართება.
გამგეობა მზადაა მხარი დაუჭიროს ასოციაციის შემოთავაზებას.

მუნიციპალიტეტის გამგებლის ედიშერ თოლორაიას განცხადებით, – „ თბილის მოსავალი არის ერთერთი
შემოსავლის წყარო ადგილობრივი მოსახლეობისთვის და გამგეობა მაქსიმალურად იზრუნებს რათა
ადგილობრივებსა და მენარმეებს ხელი შეუწყოს თბილის ბიზნესსა და მოვლა –პატრონობაში“.

**ზუგდიდის გაგაგლის მოადგილემ სასოფრობაო სახლავის
განვითარების პროექსი დაათვალიერა**



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ გიზო
სართანიამ, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში,
კახათსა და ახალკახათში ჯიქია ეკატერინეს და შაყლანძე ლამზირას
საცხოვრებელი სახლების მშენებლობის პროცესი დაათვალიერა.

ზუგდიდის გამგეობის ინფორმაციით, ამ ეტაპზე სამშენებლო
სამუშაოების ძირითადი ნაწილი შესრულებულია.

მუნიციპალიტეტის გამგეობა 16 ადმინისტრაციულ ერთეულში
სოციალურად მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების მქონე ოჯახებს
საცხოვრებელ სახლებს უშენებს.

მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის გიზო სართანიას
განმარტებით, ბენეფიციარებისთვის აშენებული სახლები მაქსიმალურად ადაპტირებული იქნება
საყოფაცხოვრებო პირობებთან. ამასთან, ოჯახებს წყალსაქაჩი მოწყობილობა, წყლის ავზი, საკანალიზაციო
მილები და მზის გამათბობელი დაუმონტაჟდებათ.

ნაღენჯიხა



სწოქოიჯო სჯქსროუქოოს ჟქსნობს



13 ნოემბერს, ნაღენჯიხის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის სხდომათა დარბაზში, არასამთავრობო ორგანიზაცია „საუნჯეს“ ორგანიზებით, გაიმართა შეხვედრა ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების შესახებ. ისაუბრეს სოციალური პროგრამების განხორციელებაზე, დასაქმებისა და სტაჟირების საკითხებზე.

შეხვედრაზე ნაჩვენები იყო ფილმი-„თანაბარი მიდგომები თანაბარი შესაძლებლობებისათვის“.

18 ნოემბერს, ქალაქ თბილისში გაიმართა სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის, გადამამუშავებელი და შემფუთველი ტექნოლოგიების მე-16 საერთაშორისო გამოფენა.

ნაღენჯიხის მუნიციპალიტეტიდან ჩასულმა დელეგაციამ დაათვალიერა გამოფენაზე წარმოდგენილი მანქანა-დანადგარები, საჯიშე მეცხოველეობა და მეფრინველეობა, მანქანა-დანადგარები თევზსაჭერი მეურნეობისათვის, მანქანა-დანადგარები ნისქვილებისათვის, ვეტერინარიისათვის საჭირო მანქანა-დანადგარები და მედიკამენტები. ასევე კვების მრეწველობა, რძისა და ხორცპროდუქტები, ხილბოსტნეული, თევზეული, უალკოჰოლო და ალკოჰოლური სასმელები, ჩაის წარმოება და მეფუტკრეობა თუ სხვა დანარჩენი.

გამოფენა 18 ნოემბერს დაიწყო და 20 ნოემბერს დასრულდება.





სრულიად საქართველოს ასეწივებს

14 ნოემბერს ქალაქ ზუგდიდში ჩატარდა სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონის ბავშვთა და მოზარდთა ქორეოგრაფიული ანსამბლების შემაჯამებელი კონცერტი. მონაწილეობდნენ: მარტვილის, ზუგდიდის, ხობის, სენაკის, აბაშის, ჩხორონყუს და ნალენჯიხის ქორეოგრაფიული ანსამბლები. ფესტივალში მონაწილეობდნენ მარტვილის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლები: "კოლხიდა", "იმედი" და "ჭყონდიდი". ღონისძიების საპატიო სტუმრები იყვნენ: საქართველოს ქორეოგრაფიის თავმჯდომარის მოადგილე- პროფესორი ოლეგ ალავიძე, ქ.თბილისის ქორეოგრაფიის ორგანიზაციის ხელმძღვანელი კახაბერ მარკოიშვილი, საქართველოს ქორეოგრაფიის პასუხისმგებელი მდივანი მურმან გამისონია და სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ხელმძღვანელი გოჩა გრზელოშვილი. დასასრულს მონაწილე ანსამბლები დაჯილდოვდნენ სპეციალური დიპლომებით. ღონისძიება ჩატარდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრ „ოდიშის“ მხარდაჭერით.



15 ნოემბერს ქ.თბილისში ათონელის თეატრში საზეიმოდ დაიხურა საქართველოს ბავშვთა და მოზარდთა თეატრების ფესტივალი „მაჩაბელა“, სადაც მონაწილეობდნენ როგორც თბილისიდან, ასევე რეგიონებიდან. მათ შორის, მარტვილის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრთან არსებული მოზარდმაყურებელთა თეატრი, რომელმაც რამდენიმე მნიშვნელოვან ნომინაციაში მიაღწია წარმატებას: ფესტივალის საუკეთესო სპექტაკლი, ჟიურის სიმპათია, მთავარი როლის საუკეთესო შესრულებისათვის,

მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესო შესრულებისათვის (ყველა შემსრულებელს სიგელი გადაეცა). „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“ - დასის ერთადერთი ნამუშევარი ჟიურის ფავორიტ სპექტაკლად დასახელდა. რეჟისორი- მამუკა ტყემალაძე, მეტყველების პედაგოგი და სცენური მოძრაობა- ბექა ჯუმუტია, მუსიკალური გაფორმება შიო აბრახამია, რეჟისორის ასისტენტები: მაღინა თოდუა და დავით გოგია. აღსანიშნავის, რომ მარტვილში დასი შეიქმნა მიმდინარე წლის მარტში, ფონდი „დღეს“ ორგანიზებითა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მხარდაჭერით.



სოხის მუნიციპალიტეტის მკვლევარებმა წარმოადგინეს რეგიონის მუნიციპალიტეტებისა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრა



სოხის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააქტო დარბაზში არასამთავრობო ორგანიზაცია - გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების ასოციაცია „მწვანე მომავალს“ წარმომადგენლებმა სამეგრელოს რეგიონის მუნიციპალიტეტებისა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართეს. შეხვედრას, მონვეული ექსპერტი განახლებადი ენერჯის საკითხებში გიორგი მუხიგულიშვილი უძღვებოდა.

პროექტის მიზანია სოხის მუნიციპალიტეტში გარემოსდაცვითი მმართველობის გაუმჯობესება და ახალი ენერჯეტიკული პოტენციალის შექმნაზე ხელშეწყობა, არსებული ხარვეზების და ბარიერების გამოვლენას რეგიონის დონეზე, სამომავლო პერსპექტივების დასახვა, სამოქალაქო საზოგადოებისა და ადგილობრივი თემების გააქტიურების გზით და მათი ჩართულობით გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში. პროექტის ფარგლებში სოხის მუნიციპალიტეტში და მის სამიზნე სოფლებში (ახალი ხიბულა, ქარიატა) შედგა არაერთი შეხვედრა ადგილობრივი ხელისუფლებისა და მოსახლეობის წარმომადგენლებთან.

პროექტი სოხის მუნიციპალიტეტში ფინანსდება გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF SGP) მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში.

7 ნოემბერს ქ.სოხის ცენტრალურ სტადიონზე საქართველოს XXVII ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის მორიგი კალენდარული მატჩი გაიმართა, სადაც სოხის „კოლხეთმა“ ჭიათურის „ჭიათურას“ უმასპინძლა. თამაშის დაწყებამდე ფეხბურთელებმა და მაცურებელმა ნუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ხელვაჩაურის „მაჭახელას“ ფეხბურთელის ტრაგიკულად დაღუპული თენგიზ ფერცელიძის ხსოვნას. მატჩი სოხელი ფეხბურთელების აშკარა უპირატესობით წარმართა და მათივე გამარჯვებით ანგარიშით 6:2 დასრულდა.



სტუმართა კარში 4 გოლი ცოტნე ბუკიამ გაიტანა, ხოლო თამაშში დუბლი მანუჩარ ლომიამ შეასრულა.

სოხის მუნიციპალიტეტის გამგეობა ულოცავს სოხის „კოლხეთს“ მორიგ გამარჯვებას.



სოფლისა და საქონლეულის მესხობის

ქართული ჩაის რეაბილიტაციის პროგრამის მიზნები

- ✓ საქართველოში არსებული ჩაის პლანტაციების პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება
- ✓ ჩაის წარმოების ხელშეწყობა;
- ✓ არსებული გავრცელებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია (როგორც კერძო საკუთრებაში, ასევე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული პლანტაციები);
- ✓ მაღალიხარისხის ჩაის, მათ შორის ბიო ჩაის, წარმოების ხელშეწყობა;
- ✓ საქართველოში წარმოებული ჩაისის საექსპორტო პოტენციალის გაზრდა;
- ✓ მოსახლეობის დასაქმება და მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;
- ✓ ჩაის პირველადი გადამამუშავებელი თანამედროვე საწარმოების შექმნა.



✦ პლანტაციების რეაბილიტაციისათვის თანადაფინანსება იქნება:

კერძო საკუთრებაში არსებული პლანტაციების შემთხვევაში:

- ✓ იურიდიული პირებისათვის - რეაბილიტაციის სამუშაოების ღირებულების 60% ,
- ✓ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის რეაბილიტაციის სამუშაოების ღირებულების 80% ; სასუქების ღირებულების 50% ,
- ✦ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული (იჯარით გაცემული) პლანტაციების შემთხვევაში:
- ✓ იურიდიული პირებისათვის - რეაბილიტაციის სამუშაოების ღირებულების 70%
- ✓ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის რეაბილიტაციის სამუშაოების ღირებულების 90% ; სასუქების ღირებულების 50%
- ✦ ჩაის პლანტაციების სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულება 1 ჰა-ზე გაანგარიშებით არ უნდა აღემატებოდეს 2500 ლარს (დღგ -ს ჩათვლით)
- ✦ იმ შემთხვევაში, თუ სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულება 1 ჰა-ზე აღემატება 2500 ლარს, თანადაფინანსების მოცულობის დადგენა განხორციელდება ჩაის პლანტაციების სარეაბილიტაციო სამუშაოების თანადაფინანსების პირობების შესაბამისად. (2500 ლარის 60%, 70% 80%-ის ოდენობით)
- ✦ სასოფლო სამეურნეო კოოპერატივები დამატებით უსასყიდლოდ მიიღებენ ჩაის პირველადი დამამუშავებისთვის საწარმოო მანქანა-დანადგარებს, მონყობილობებსა და ინვენტარს.

„წინო ხეხვიამევირის გამომცემრობა“



წიგნების ბეჭდვა

**მისამართი:
თბილისი,
ლესელიძის 27
მე-2 სართ.
599746810
790746810**

**ქურნალ-
ბაჭათების
ბეჭდვა**

**ანყობა,
დიზაინი,
დაკაბადონება**